UDC 323.325 / 297.8
SCOPUS CODE 3320
https://doi.org/10.36073/1512-0996-2025-4-326-357

„დაიშის“ იდეოლოგია

ზვიად ტყაბლაძე პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 75
E-mail: tkabladze.zviad@gtu.ge

რეცენზენტები:

თ. კიკნაძე, სტუ-ის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის პროფესორი
E-mail: kiknadzetamar12@gtu.ge

მ. მანჩხაშვილი, სტუ-ის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი
E-mail: manchkhashvilimaia07@gtu.ge

ანოტაცია. სტატიაში მოცემულია საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაცია „დაიშის“ (ისლამური სახელმწიფო, IS, ISIS, ISIL) ანალიზი, მისი იდეოლოგიური დოქტრინების თვალსაზრისით, თუ რა ფაქტორებმა შეუწყო ხელი ასეთი იდეოლოგიის ჩამოყალიბებას, რომელიც სხვა ისლამისტურ ტერორისტულ ორგანიზაციებთან შედარებით ყველაზე სასტიკი, უმოწყალო და განსხვავებულია. „დაიშის“ ურთიერთდაკავშირებული ჯიჰადისტურ-სალაფიური და ჯიჰადისტურ-თაფქირისტული მსოფლმხედველობები ემყარება იმ ისლამისტ იდეოლოგთა ლიტერატურასა და ნაშრომებს, რომლებიც ოფიციალურად არ გამოდიან ამ დაჯგუფების მხარეს, მაგრამ ამასთანავე ქადაგებენ ისეთ იდეებს, რომლებიც ისლამს ეწინააღმდეგება.

თაფქირიზმის (ურწმუნობაში დადანაშაულება) იდეოლოგიის გამოყენებით „დაიშელები“ ამართლებენ იმ მუსლიმების (შიიტების, სუნიტენის და სხვ.) წინააღმდეგ შეიარაღებულ ბრძოლას და გენოციდს, ვინც არ იზიარებს მათ შეხედულებებს. თაქფირიზმი, სალაფიზმ-ჯიჰადიზმთან ერთად დაფუძნებულია ისლამის წმინდა წერილის ექსტრემისტულ და მინორიტარულ წაკითხვაზე, მოიცავს „მეცნიერების“ გლობალურ ქსელს, ვებგვერდებს, მედიას, სოციალურ ქსელებს.

მართალია, დაჯგუფების რესურსები - ადამიანური, ფინანსური, შეიარაღება და ტერიტორიული,

ეტაპობრივად, ჯერ 2017 წელს, შემდეგ კი 2019 წელს თითქმის გაქრა, „დაიში“ არსებობს გარკვეული უჯ-რედების სახით და ზიანის მიყენების უნარი კვლავ შენარჩუნებული აქვს, ხოლო მისი იდეოლოგიის მომხრეები მიმოფანტულები არიან მთელს მსოფ-ლიოში.

საკვანძო სიტყვები: „დაიში“; თაფქირიზმი; იდეოლოგია; „ისლამური სახელმწიფო“; სალაფიზ-მი; ტერორიზმი; ჯიჰადიზმი.

შესავალი

ვაგრძელებთ სტატიების ციკლს, საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაცია „დაიშის“ (თვითდა-სახელება „ისლამური სახელმწიფო“; არაბ.: **الدّولة الإسلاميّة**; ტრანსლიტ.: „ად-დავლათ ალ-ისლამია“; ინგლ.: Islamic State, IS) შესახებ. პირველი სტატია ეხებოდა „დაიშის“ წარმოშობის საკითხებს. ამაჟა-მად წარმოგიდგენთ ნაშრომს „დაიშის“ იდეოლოგი-ის თაობაზე.

2001 წლის 9/11-ის ტერაქტების შემდეგ, მეცნიე-რებმა და საერთაშორისო ექსპერტებმა ყურადღება გაამახვილეს ისლამისტურ-ტერორისტული მიმარ-თულების ორგანიზაციების შესწავლაზე, რომლე-ბიც ისლამს ამოფარებულები, ეწეოდნენ რელიგი-ურ-პოლიტიკურ ექსტრემიზმსა და ტერორიზმს.

ტერორიზმის პრობლემატიკის მკვლევრებს, პირველ რიგში აინტერესებთ რადიკალი ისლამის-ტების მიერ იდეოლოგიური დოქტრინების ჩამოყა-ლიბების, მათი ორგანიზაციული სტრუქტურების, კონკრეტული პოლიტიკური პრაქტიკის განხორ-ციელების ფორმები და მეთოდები, ასევე ტერო-რიზმის ფინანსური მხარდაჭერის საკითხები. ამ მხრივ უმნიშვნელოვანესია ერთ-ერთი მიმართუ-ლების – ტერორისტების იდეოლოგიის ანალიზი.

„დაიში“ წარმოიშვა დაახლოებით 2006 წელს, ერაყში კოალიციური ძალების ყოფნის პერიოდში. მაშინ ამ ისლამისტურ დაჯგუფებას ეწოდებოდა „ერაყისა და შამის (სირიის) ისლამური სახელმ-წიფო“ (არაბ.: **الدولة الإسلامية في العراق والشام**; ტრანსლიტ.: „ად-დავლათ ალ-ისლამია ფი ალ-ირაკ ვა აშ-შამ“; ინგლ.: Islamic State of Iraq and Al-Sham, ISIS), ან „ერაყისა და ლევანტის[1] (აღმოსავლეთი) ისლამური სახელმწიფო“ (ინგლ.: Islamic State of Iraq and Levant, ISIL), რომელიც მიზნად ისახავდა უცხოური ძალე-ბის განდევნას ერაყიდან შეიარაღებული ბრძოლის მეშვეობით.

სირიაში სამოქალაქო ომის დაწყების შემდეგ, 2011 წელს, ISIS-ის ფორმირებების ნაწილი გადავი-და სირიის ტერიტორიაზე და შეიარაღებულ სი-რიულ ოპოზიციას შეუერთდა მთავრობის წინააღმ-დეგ ბრძოლაში. „ისლამური სახელმწიფოს“ ტერო-რისტებმა სირიის შორეული პროვინცია არ-რაკას ნაწილი დაიკავეს, სადაც მათ შარიათის[2] კანონების

[1] **შამი** (არაბ.: **الشام**; ტრანსლიტ.: აშ-შამ) არის ხმელთაშუაზღვისპირეთის აღმოსავლეთი ნაწილის ქვეყნების საერთო სახელწოდება, რომელშიც შედის თანამედროვე სირია, ლიბანი, პალესტინა და იორდანიის ნაწილი. **ლევანტი** კი (მოდის ფრანგ.: levant — მზის ამოსვლა) — აშ-შამის სინონიმი.

[2] **შარიათი** (არაბ.: **شريعة**; ტრანსლიტ.: შარია) — ყურანში აღნიშნავს ალაჰის მიერ დადგენილ პირდაპირ, ჭეშმარიტ, სწორ გზას, რომლის საშუალებითაც მორწმუნე აღწევს სამოთხემდე [45:18/17]. ისლამის სამართლებრივი, მორალურ-ეთიკური და რელიგიური ნორმების ერთობლიობა, რაც მოიცავს მუსლიმის ცხოვრების მნიშვნელოვან ნაწილს და ისლამში გამოცხადებულია „მუდმივ და უცვლელ“ ღვთიურ დადგენილებად. მათი დაცვა ნიშნავს ალაჰისათვის სასურველ უმწიკვლო ცხოვრებას, რომელიც უზრუნველყოფს მორწმუნეთათვის ადგილს სამოთხეში. შარიათი

შემოღება გამოაცხადეს. დამახასიათებელია, რომ ISIS-ის, ისევე როგორც სხვა მეამბოხე ძალების ქმედებებს, არ ექცეოდა დიდ ყურადღება მსოფლიო საზოგადოების მხრიდან, რომელიც ძირითადად ფოკუსირებული იყო სირიის პრეზიდენტ ბაშარ ალ-ასადის რეჟიმის ჩამოგდებაზე.

„დაიშის“ ლიდერი აბუ ბაქრ ალ-ბაღდადი[3] 2014 წლის 29 ივნისს, შევიდა ქალაქ მოსულის (ალ-მავსილ) ცნობილ ან-ნურის სახ. დიდ მეჩეთში, რათა გამოეცხადებინა ახალი „ისლამური სახალიფოს“ შექმნა [17]. ცოტა ჭარბწონიანი, წვერებიანი პირი ავიდა მინბარზე[4] რათა მიელოცა თავის მიმდევრებისთვის კაცობრიობის ისტორიაში ახალი თავის დაწყება: „თქვენ დაიპყრობთ რომს და მთელ მსოფლიოს დაეუფლებით“. ალ-ბაღდადიმ თავი წინასწარმეტყველ მუჰამადის[5] პირდაპირ მემკვიდრედ და ახალ ხალიფა იბრაჰიმად დაასახელა. ტერორისტმა მსოფლიოს მუსლიმებს მოუწოდა მის მოძრაობასთან შეერთებისკენ. სახალიფოს[6] გამოცხადებამ, ორგანიზაციას გლობალური მნიშვნელობა შესძინა.

აღზევების პერიოდში, 2014–2015 წლებში, „დაიშის“ რიგებში ირიცხებოდა 30 ათასიდან 200 ათასამდე ტერორისტი, რომელიც აკონტროლებდა 100,000 კვ. კმ. ტერიტორიას ერაყსა და სირიაში, რამაც ხელი შეუწყო მზარდ ქაოსს და უკვე სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა საერთაშორისო უსაფრთხოებას.

დაჯგუფება ცდილობდა სამოქალაქო ომის გაღვივებას ისლამის სახელით, ყველა იმ მუსლიმის წინააღმდეგ, რომლებიც ყურანის მათ ინტერპრეტაციას არ იზიარებდა. ასეთი მუსლიმების რჯულგანდგომილებად (მურთად) გამოცხადება, ტერორისტებს

ითვლება „ღვთაებრივ კანონად“, რომელიც ადამიანისათვის ხელმისაწვდომია ყურანის, ჰადისებისა და რელიგიური ავტორიტეტების ნაშრომების საშუალებით. დღეს მრავალი მუსლიმური ქვეყნის კონსტიტუციის თანახმად, შარიათი კანონმდებლობის „მთავარი“ ან „ფუნდამენტური“ წყაროა, განმარტავენ, ასევე, როგორც ისლამის რელიგიურ კანონს, რომელიც ჩამოყალიბდა არაბთა სახალიფოში VII-XI საუკუნეებში. ამასთანავე ტერმინი კანონი გამოიყენება ზოგადსოციალური და არა იურიდული მნიშვნელობით. ანალოგიურ სემანტიკურ დატვირთვას ატარებს გამოთქმა „შარიათის კანონები“. იხ.: [7, გვ. 27-83].

[3] **აბუ ბაქრ ალ-ბაღდადი** (არაბ.: **أبو بكر البغدادي**; ინგლ.: Abu Bakr al-Baghdadi), დაბადებული როგორც **იბრაჰიმ ავად იბრაჰიმ ალი მუჰამად ალ-ბადრი ას-სამარაი** [Ibrahim Awad Ibrahim Ali Muhammad al-Badri al-Samarrai], იგივე **აბუ დუა** [Abu Dua] ან **აბუ ავადი** [Abu Awad], 28.07.1971-27.10.2019) — წარმოშობით ერაყელი საერთაშორისო ტერორისტი, ფუნდამენტალისტი, რადიკალი ისლამისტი, „დაიშის“ ლიდერი 2014—2019 წლებში.

[4] **მინბარი** (არაბ.: **منبر** - ტრიბუნა, კათედრა) — ადგილი მეჩეთში, საიდანაც იმამი კითხულობს ქადაგებას.

[5] **წინასწარმეტყველი მუჰამადი** (არაბ. **مُحَمَّد**; ტრანსლიტ.: მუჰამმად; ინგლ.: Muhammad; დაბ. 570/571 წ. ქ. მექა [ალ-მაქა] – გარდ. 632 წ. ქ. მედინა [მადინა]) - არაბი რელიგიური, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, ისლამის ფუძემდებელი. ისლამური დოქტრინის თანახმად იყო წინასწარმეტყველი, ანუ არაბულად ნაბი [არაბ.: **نبي**; ინგლ.: Prophet; რუს.: Пророк] და მოციქული, ანუ არაბულად რასულ [არაბ.: **رسول**; ინგლ.: The Messenger of God; რუს.: Посланник Бога] - ღმერთის — ალაჰის [არაბ.: **الله**; ალ-ლაჰ]) მიერ არჩეული ადამიანი, წმინდა წერილის გადასაცემად და ალაჰის მიერ ზეშთაგონებული, ადამის, აბრაამის, მოსეს, იესოს და სხვა წინასწარმეტყველთა მონოთეისტური სწავლების ქადაგებისთვის.

[6] **სახალიფო** (არაბ.: **خِلافة**; ტრანსლიტ.: ხილაფა; ინგლ.: Caliphate; მემკვიდრეობითობა, ჩანაცვლება) — თავიდან არაბულ-მუსლიმური სახელმწიფო, შექმნილი წინასწარმეტყველ მუჰამადის გარდაცვალების შემდეგ, რომელსაც შემგომ მართავდნენ ხალიფები (არაბ.: **خليفة**; ინგლ.: Caliph; ნაცვალი, მოადგილე, მემკვიდრე — მუსლიმური თემის და მუსლიმური თეოკრატიული სახელმწიფოს (სახალოფოს) სასულიერო და საერო ლიდერი).

აძლევდა მათი მოკვლის საბაბს, შარიათის კანონების თავიანთი ინტერპრეტაციის საფუძველზე.[7]

ძირითადი ნაწილი

1. მზარდი ამბიციები

გავლენიანი ამერიკული ანალიტიკური ცენტრი RAND Corporation-ის წამყვანი ექსპერტი ტერენს კელი (Terrence Kelly), კოლეგებთან ერთად, თავის კვლევაში წერდა, რომ დაჯგუფებას გააჩნია აპოკალიპტური „საღვთისმეტყველო თეორია“, რაც გადაბირების ძლიერი ინსტრუმენტი იყო და გამოხმაურება პოვა მუსლიმებს შორის. ამ ნარატივის თანახმად, თითქოსდა, ღმერთის რჩეული IS-ის ძალები, შეებრძოლებოდნენ რომაულ (დასავლურ) ძალებს და გაიმარჯვებენ მაჰდის (მესიის) მოსვლის შემდეგ.

ეს და სხვა პრაქტიკა კი ეჩვენებათ დასავლელ მიმომხილველებს ფანატიკურად და ალოგიკურად, მაგრამ სრულიად პრაქტიკულია IS-ის გადმოსახედიდან. მისი პრეტენზიები ლეგიტიმურობაზე და ასევე მისი მისწრაფება შეექმნა სახალიფო და დაეპყრო ახალი ტერიტორიები დაფუძნებულია ისტორიულ არგუმენტზე, რომელიც მათი აზრით, მოდის წინასწარმეტყველ მუჰამადის და მისი მიმდევრების დროიდან.

„დაიში“ სრულად შეესაბამება სალაფიურ/სალაფიტურ8 მსოფლმხედველობას, რომელშიც ხალიფა ან მმართველი ცენტრალური ფიგურაა და მნიშვნელოვანია არა მარტო ყურანზე ან მუჰამადის მაგალითზე დამყარებული პოლიტიკური ისტებლიშმენტისათვის, არამედ საჭიროა „შეტევითი ჯიჰადისთვის“ (ვინაიდან ხალიფას შეუძლია ბრძანების გაცემა). ეს პოლიტიკური კონსტრუქცია და შეტევითი „საგარეო პოლიტიკა“ ასევე დამოკიდებულია ტერიტორიის არსებობაზე, მართვისთვის. ტერიტორიის გარეშე სახალიფო არ არსებობს, არ არსებობს ხალიფა და შესაბამისად შეზღუდულია შესაძ-

---

[7] **ირთიდად (რიდა)** — რჯულგანდგომილება ისლამიდან, ყველაზე დიდი ცოდვა. ირთიდადის ჩამდენს უწოდებენ მურთადს — რჯულგანდგომილს (არაბ.: **مرتد**; ტრანსლიტ.: მურთად).

[8] **სალაფია/სალაფიზმის მიმდევრები** (არაბ.: **السلفية**; რომანიზ.: as-Salafiyya; ინგლ.: Salafi movement/ Salafism — წინაპარი, წინამორბედები) — მოძრაობა სუნიტურ ისლამში, რომელიც მოუწოდებს მუსლიმებს გაიზიარონ მართლმორწმუნე წინაპრების, ადრინდელი მუსლიმური თემის ცხოვრების წესი და რწმენა. ისინი გამოდიან ნებისმიერი სიახლის წინააღმდეგ, რომელმაც „დააბინძურა“ ისლამი, დაწყებული ყურანის განმარტებების მეთოდებით, დამთავრებული მუსლიმურ სამყაროში დასავლეთთან კონტაქტების შედეგად შემოტანილი სიახლეებით. სალაფიტებისთვის არსებობს ერთი აბსოლუტური ქცევის ნიმუში — წინასწარმეტყველ მუჰამადისა და მისი მიმდევრების ქმედებები პირველ სამ თაობაში. ამ ადრეული ისლამური ერთობის ადათ-წესები, რომელსაც სალაფიტები ისლამის „ოქროს ეპოქას“ უწოდებენ, აყალიბებს მათ იდეოლოგიას. სალაფიზმი დღესაც იცავს ადრეული ისლამის მემკვიდრეობას. მათ იდეოლოგიაში შერწყმულია უკიდურესად კონსერვატიული ისლამის მოაზროვნეთა სწავლებების ცალკეული ფრაგმენტები. სალაფიტების მთავარი იდეოლოგიური ორიენტირია **ვაჰაბიტების** სწავლებები, ცნობილი თავისი სიმკაცრით და უკომპრომისო ბუნებით. **ვაჰაბია/ვაჰაბიზმი** (არაბ.: **الوهابية**; ტრანსლიტ.: ალ-ვაჰაბია; ინგლ.: Wahhabism) - სუნიტურ ისლამში რელიგიურ-პოლიტიკური მიმდინარეობა, რომელიც ჩამოყალიბდა XVIII საუკუნეში. მოძრაობას ეწოდა **მუჰამად იბნ აბდ ალ-ვაჰაბ ათ-თამიმის** (Muhammad ibn Abd al-Wahhab at-Tamimi; 1699/1703—1792 წწ.) სახელი, რომელიც თავის მხრივ იყო **თაკი ად-დინ იბნ თაიმიას** (Taqi ad-Din Ahmad Ibn Taymiyyah, 1263—1328 წწ.) მიმდევარი — სირიელი არაბი თეოლოგის, მოსამართლის, ფილოსოფოსის, ეკონომისტის, „სიახლეების“ კრიტიკოსის რელიგიაში. ალ-ვაჰაბი თვლიდა, რომ ჭეშმარიტი ისლამი არსებობდა მხოლოდ წინასწარმეტყველ მუჰამადის მიმდევართა პირველი სამი თაობის „ას-სალაფ ას-სალიჰუნ“ (არაბ.: **السلف الصالحون** — წმინდანი წინამორბედები/წინაპრები, VII—IX სს.) დროს და ეწინააღმდეგებოდა ყველა გარედან შემოტანილ „ბიდას“ (სიახლეს). სალაფიზმის მიმდევრებს ვაჰაბიტებსაც უწოდებენ, მაგრამ თავად სალაფიტები ამას არაკორექტულად თვლიან. ტერმინები სალაფიზმი და ვაჰაბიზმი ხშირად გამოიყენება როგორც ურთიერთშენაცვალებადი.

ლებლობები და მოთხოვნები ძალადობის ექსპორტისთვის.

ამ თეოლოგიურ ელემენტებზე დამატებით „ისლამური სახელმწიფოსთვის“ მნიშვნელოვანია პრაქტიკული განხილვები. წარმატების მისაღწევად მისთვის საჭიროა საბაზისო ელემენტები სახელმწიფო მართვისათვის, რომლებიც შეიცავს შემდეგს:

- ადამიანის მოზიდვის შესაძლებლობა დამოკიდებული იყო „დაიშის“ წარმატებებთან. დაპყრობების წყალობით ორგანიზაციამ მიიზიდა მრავალი ადამიანი, რომლებიც შთაბეჭდილებების ქვეშ დარჩნენ ამ მუშაობით;
- ფინანსური და სხვა რესურსები, რომლებიც საჭიროა სახელმწიფოს მინიმალური ფუნქციების მხარდასაჭერად. „დაიშმა“ დაიწყო მნიშვნელოვანი რაოდენობის რესურსების მოგროვება, რომლებიც მიიტაცა დაპყრობების შედეგად;
- შიდა და ეროვნული უსაფრთხოების შექმნის და მხარდაჭერის შესაძლებლობა. „დაიში“ გარანტიას იძლეოდა, სერიოზული რყევების გამონაკლისით, რომ არ შეეჯახებოდა რაიმე შიდა საფრთხეს (ჩრდილოეთ კორეასა ან ავღანეთში აშშ-ის შესვლამდე ტალიბანის ანალოგით) [16]. „დაიშის“ მიზანს წარმოადგენდა ისლამური სამართლის მისეულ ვერსიაზე დაფუძნებული სახელმწიფოს ჩამოყალიბება, რომელიც გააკონტროლებდა საზოგადოებრივ და ადამიანების პირად ცხოვრებასაც კი, ასევე სირიისა და ერაყის ტერიტორიების გაწმენდა „ურწმუნოებისაგან“. ამ სახელმწიფოს სათავეში უნდა მდგარიყვნენ რელიგიური პირები უზენაესი წინამძღოლი ხალიფას მეთაურობით, რომელიც მოციქულ მუჰამადის შთამომავალი უნდა ყოფილიყო [Sanikidze, G. გვ. 6].

სალაფიური მოძღვრება ისლამის თითქოსდა კონსერვატიული, მაგრამ იმავდროულად ექსტრემისტული ინტერპრეტაციაა. ის რელიგიის სახელით ქადაგებს ძალადობას და ყველას, ვინც არ ეთანხმება მისეულ ინტერპრეტაციას, ურწმუნოდ ან რჯულგანდგომილად აცხადებს.

ISIS-ი ცდილობდა თავის კონტროლს დაქვემდებარებულ ტერიტორიებზე ასევე დაენერგა საკუთარ ხედვაზე დამყარებული განათლების სისტემა. მოსულის დაკავების შემდეგ, „სახელმწიფოს“ მესვეურებმა „სკოლებში აკრძალეს მუსიკის, ხატვის, ეროვნული ისტორიისა და ლიტერატურის სწავლება. პატრიოტული სიმღერები ასევე ღვთის გმობად გამოცხადდა. მუსიკა აკრძალული იყო მანქანებში, წვეულებებზე, მაღაზიებსა და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში.

IS-ი აქტიურად აწარმოებდა რეკრუტირების (გადაბირების) პროცესს, როგორც ახლო აღმოსავლეთის, ისე მთელი მსოფლიოს მასშტაბით. მას სხვადასხვა მიზეზით უერთდებოდნენ: ზოგი რწმენით, ზოგი – გასამრჯელოს მიღების სურვილით, ზოგს კი უბრალოდ სხვა შანსი არ ჰქონდა. ISIS-ში რეკრუტირების პროცესი ბევრად უფრო მარტივი და იმავდროულად სახიფათო იყო. მისი წევრი შეიძლება გამხდარიყო ყველა მუსლიმი, რომელსაც მანამდე არანაირი კავშირი არ ჰქონია ისლამისტებთან. რეკრუტი ამგვარად შეიძლება გამხდარიყო ჩვეულებრივი ახალგაზრდა, მაგალითად „რეალის“ ან „ბარსელონას“ გულშემატკივარი ან რომელიმე პოპვარსკვლავის ფანი. ეს რეკრუტები ჩვეულებრივ უცნობები რჩებოდნენ სახელმწიფო უშიშროების სამსახურებისათვის, სანამ უშუალოდ არ ჩაებმებოდნენ ტერორისტულ საქმიანობაში.

„დაიში“ ცდილობდა სახელმწიფოს ატრიბუტების გათავისებასაც. კონტროლირებად ტერიტორიებზე კრეფდნენ გადასახადებს, ფუნქციონირებდა მაღაზიები, საავადმყოფოები, სხვადასხვა საზოგადოებრივი სამსახური, ისლამის მათ ინტერპრეტაციაზე დამყარებული სკოლები და რელიგიური სასამართლოები [Sanikidze, G. გვ. 8].

ჯგუფის მიერ ჩამოყალიბების ყველა ეტაპის გავლას და ეროვნული ტრენდის სახით დაგვირგვინებას 2013 წლიდან ხელი შეუწყო „დაიშის“ ძირითადმა მამოძრავებელმა ძალამ – ერაყის ყოფილმა სუნიტურმა[9] ბაასისტურმა[10] ელიტამ, რომლის ძირითად ამოცანას წარმოადგენდა ახალი სახელმწიფოებრივი მოწყობის ფარგლებში, ნავთობის ექსპორტის თვითდამაკმაყოფილებელი სისტემის შექმნა [Sheglovin, Y. გვ. 67-68].

„სახელმწიფოს“ სამართავად, შეიარაღებული ძალების ორგანიზებისა და ბრძოლისუნარიანობის გასაზრდელად „დაიშს“ აუცილებლად ესაჭიროებოდა გამოცდილი კადრები. ამ მხრივ გამორჩეულად გამოდგა სადამ ჰუსაინ/ჰუსეინის რეჟიმის საყრდენის, ბაასისტთა პარტიის წევრების მასობრივად გადასვლა ექსტრემისტთა მხარეზე. ბაასისტები ერთნაირად წარმოადგენენ ანტიქურთულ, ანტიირანულ და ანტიშიიტურ ძალას ერაყში. მათი 35-წლიანი მმართველობის შედეგად წარმოიშვა იდეოლოგიურად დამუშავებული ახალი თაობა, რომელიც გარკვეულ დონეზე საერთო ენას პოულობს „დაიშთან“. ბაასისტი ოფიცრების ჯიჰადისტთა რიგებში ჩართვამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა მათი ტაქტიკური და საბრძოლო შესაძლებლობები [Sanikidze, G. გვ. 8].

ამ კამპანიის მთავარი, მამოძრავებელი ძალა იყო ერაყელი დიქტატორის უახლოესი თანამებრძოლი, ფელდმარშალი იზათ იბრაჰიმ ად-დური (Izzat Ibrahim al-Douri; 1942–2020 წწ.), ერაყის პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე, შინაგან საქმეთა მინისტრი (1974–1979 წწ.), ჰუსაინის მოადგილე „რევოლუციური სამეთაურო საბჭოს“ თავმჯდომარის პოსტზე (1979–2003 წწ.) „ბაასის პარტიის“ გენმდივანი (1991–2003 წწ.), რომელმაც პირველივე ეტაპზე ISIS-ს განკარგულებაში გადასცა დიდი ხნის შექმნილი ბაასის პარტიის საქალაქო და რეგიონალური ფილიალების სისტემა და ასევე სუნიტური სახალხო რაზმები „სადამის ფიდაინები“[11].

[9] **სუნიტები** არიან „სუნას“ (არაბ.: **سنة**; ტრანსლიტ.: სუნნა – ჩვეულება, მაგალითი) მიმდევრები, რომლებიც საკუთარ თავს უწოდებენ „თემის თანხმობის და სუნას ხალხს“ არაბ.: **أهل السنة والجماعة**; ტრანსლიტ.: აჰლ ას-სუნა ვა ალ-ჯამაათ). სუნიზმის მიმდევრები ყურანთან ერთად აღიარებენ სუნას – მუსლიმურ წმინდა თქმულებას, რომელიც ასახავს წინასწარმეტყველ მუჰამადის ცხოვრებას, როგორც მაგალითი და სახელმძღვანელო მუსლიმური თემისთვის (უმმა) ყურანის შემდეგ. სუნიზმი ყველაზე გავრცელებული, ორთოდოქსური მიმართულებაა ისლამში, მუსლიმების 85–90% მსოფლიოში სუნიტია. პოლიტიკური მეცნიერების ტერმინოლოგიით, სუნიტები არიან ცენტრისტები, ანუ ისინი ვინც არ ვარდებიან უკიდურესობაში და უმრავლესობის ინტერესებს იზიარებენ. ასეთმა მიდგომამ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში სუნიზმი გახადა პოპულარული მიმართულება ისლამში. სუნიტების დამახასიათებელი ნიშანია ხელისუფლების არჩევითობის დოქტრინა. შიიტებისგან განსხვავებით, ირჩევენ სასულიერო ლიდერს მუსლიმური თემიდან.

[10] **„ბაასი“** (აღორძინება; არაბ.: **حزب البعث العربي الاشتراكي في العراق**, რომანიზ.: Ḥizb al-Baʿth al-'Arabī al-Ishtirākī fī al-'Irāq; ინგლ.: Arab Socialist Ba'ath Party - Iraq Region).

[11] **სადამის ფიდაინები** (არაბ.: **فدائيي صدام**; ინგლ.: Fedayeen Saddam) გასამხედროებული ორგანიზაცია. სადამ ჰუსაინის ოჯახში შიდა კონკურენციის გამოვლინება გახდა 1995 წ. ალტერნატიული გასამხედროებული სპეცსამსახურის „სადამის ფიდაინების“ ჩამოყალიბება, რომელსაც სათავეში ჩაუდგა სადამ ჰუსაინის უფროსი შვილი უდაი/უდეი სადამ ჰუსაინი (Uday Saddam Hussein al-Tikriti; 1964–2003 წწ.). იგი უკმაყოფილო იყო უმცროსი ძმის კუსაის (Qusay Saddam

სადამ ჰუსაინის დამხობის შემდეგ ამ სტრუქტურის ფუნქციონერები არსად გამქრალ და რაიმე ახალი, განსაკუთრებული ძალოვანი და სახელმწიფოებრივი მანქანის მშენებლობის მქონე გამოგონება საჭირო არ იყო.

სწორედაც, რომ ად-დურმა უზრუნველყო აღმოცენების პროცესში მყოფი ალ-ფალუჯასა და სამარაში ისლამურ ეროვნულ მოძრაობასა და ანბარისა და ნაინავას პროვინციების სუნიტურ ტომებს შორის დაკავშირება, რამაც უზრუნველყო სწრაფი აჯანყების მოწყობა და „სუნიტური სამკუთხედის“ მთავარი ადმინისტრაციული ცენტრების დაკავება, მოსულისა და თიკრითის ჩათვლით. ორგანიზაციის ფორმირების პირველ ეტაპზე სამეთაურო და ხელმძღვანელი ორგანოების 80% ბაასისტებისგან შედგებოდა [Sheglovin, Y. გვ. 67-68].

ცნობილი ამერიკული ანალიტიკური The Soufan Group-ის ერთ-ერთი ხელმძღვანელი რიჩარდ ბარეტი (Barret Richard) აღნიშნავს, რომ გარდა ხელისუფლების წყურვილისა, „ისლამური სახელმწიფოს“ მოქმედ იდეოლოგიურ ძალად ითვლება ორი სხვადასხვა მიმართულება, თუმცა ორივეს საერთო თემა აქვს. პირველ და დომინირებულ მიმართულებას წარმოადგენდა ისლამური შეხედულებების ფუნდამენტალისტური კანონი, XIV საუკუნის მეცნიერ იბნ თაიმიადან მოყოლებული მუჰამად იბნ აბდ ალ-ვაჰაბის (გარდ. 1792 წ.) მეშვეობით, თანამედროვე სალაფიელ იდეოლოგიებამდე [Barret, R. გვ. 6-7, 22].

ისინი ამტკიცებენ, რომ ნებისმიერი გადახვევა პურიტანული ცნებებიდან, რომელსაც ისინი იღებენ ყურანიდან და ჰადისებიდან[12] – არის ღვთის გმობა და ის უნდა ამოიძირკვოს. აქედან გამომდინარე, სუფიზმი[13], შიიზმი[14] ან რაიმე სხვა – ყველაფერი

Hussein al-Tikriti; 1965–2003 წწ.) გაძლიერებით რომელმაც საკუთარი კონტროლის ქვეშ მოაქცია ქვეყნის „სადაზვერვო-კონტრდაზვერვითი საზოგადოებები“. ორგანიზაციაში 40 ათასამდე მებრძოლი შედიოდა. თვითონ სიტყვა „ფიდაი“, მრ. „ფიდაიუნ“ (არაბ.: **فدائي/ فدائيون**) ნიშნავს ადამიანს რომელიც საკუთარ თავს მსხვერპლად სწირავს სარწმუნოებისთვის, იდეისთვის, სადამის ფიდაინების ყველაზე ცნობადი ელემენტი იყო შუშაბოჭკოს შავი ჩაფხუტები, რომელიც ძალიან წააგავდა დართ ვეიდერის ჩაფხუტს „ვარსკვლავური ომებიდან“, ასევე II მსოფლიო ომის გერმანულ ჩაფხუტს და იაპონურ კაბუტოს.

[12] **ჰადისი** (არაბ.: **الحديث**; ინგლ.: Hadith) – მოციქულ მუჰამადის ქმედებათა და სიტყვების გადმოცემა/თქმულება, რომელიც ეხება მუსლიმი თემის ცხოვრების სხვადასხვა რელიგიურ-სამართლებრივ მხარეს.

[13] **სუფიზმი/ ათ-თასავუფი** (არაბ.: **التصوف**; რომანიზ.: tasawwuf, მისტიციზმი/სულიერება) – მისტიკურ-ასკეტური მოძრაობა ისლამში, რომელიც მოიცავს სულიერი სრულყოფის სწავლებისა და პრაქტიკულ მეთოდებს, მიმართული ღმერთთან დაახლოებისთვის და მისი საიდუმლოებების გაგებისთვის.

[14] **შიიტები** (არაბ.: **شيعة**; ტრანსლიტ.: შიია – მომხრეები, მიმდევრები, დაჯგუფება) რაოდენობით მეორე ისლამური შტო (შეადგენენ მუსლიმების 10–20%-ს). შიიტები თვლიან, რომ მოციქულმა მუჰამადმა თავისი ხელისუფლება გადასცა თავის ნათესავს, ხალიფა ალის (**ალი იბნ აბი ტალიბი** [Ali ibn Abi Talib], მუჰამადის ბიძაშვილი და სიძე, მეოთხე მართლმორწმუნე ხალიფა (656–661 წწ.)), პირველი პატივსაცემი იმამი, 12 იმამიდან (**იმამი** – არაბ.: **إمام** – წინ მდგომი, ისლამში ლოცვის წინამძღვარი, მუსლიმი სასულიერო პირი, რომელიც განაგებს/მართავს მეჩეთს). მათი უმრავლესობა ცხოვრობს ირანში, ერაყში, აზერბაიჯანში. ისინი საკმაო რაოდენობითაა საუდის არაბეთის აღმოსავლეთ ნაწილში, ბაჰრეინში, ლიბანში და იემენში. შიიტები თემის ლიდერს უწოდებენ იმამს, რომელიც მათთვის არის ერთდროულად სასულიერო და საერო ძალაუფლების განმახორციელებელი. სუნიტისთვის კი იგივე ტერმინი სასულიერო პირის – მოძღვრის აღმნიშვნელია. შიიტი იმამი აერთიანებს თავის თავში პოლიტიკურ და რელიგიურ ლიდერობას, მისი აზრი ჭეშმარიტია და კამათს არ ექვემდებარება.

ყურანის გარდა, მთლიანობაში შიიტებისთვის სუნას გაგება და გამოყენება განსხვავდება სუნიტურისგან. შიიტებსა და სუნიტებს შორის განსხვავებაა, თუ რომელი ჰადისებია ავტორიტეტული და სარწმუნო. შიიტები აღიარებენ საკუთარი ჰადისების კორპუსს – აჰლ ალ-ბაითს (მოციქულის ოჯახი). ამას გარდა მათ თავისი „წმინდა წერილები“ (ახბარები) აქვთ, რომელიც მოიცავს ჰადისებს იმამ ალიზე. მექას გარდა, შიიტებს თაყვანისცემის ადგილებია ერაყის

უნდა განადგურდეს. ამაშია სწორედ „დაიშის“ იდეოლოგიური დოქტრინის – თაქფირიზმის არსი (ამ დოქტრინას ვრცლად განვიხილავთ შემდეგ ქვეთავში).

ამრიგად, „დაიში“ აცხადებს თავისი ძალადობის კანონიერებას და ამტკიცებს, რომ ყველა მისი ქმედება ისლამის აღორძინებას ემსახურება, დაუბრუნოს მას სუფთა ფორმა, გააერთიანოს მუსლიმური სამყარო ჭეშმარიტი ისლამური მმართველობის ქვეშ და აღადგინოს თავისი ხალხის ღირსება და დიდება, ღმერთის ბრძანებების შესასრულებლად.

მეორე მიმართულება, ყველაზე აშკარა – ბაასიზმია (Ba'athism), უფრო სწორად ქსელი ყოფილი ბაასისტების, რომლებიც გაერთიანდნენ ISIS-თან 2008–2010 წლებში. ბაასიზმი თავდაპირველ ფორმაში მიისწრაფვოდა არაბული რასის აღორძინებისაკენ, კოლონიალიზმის მემკვიდრეობის მოშორებისკენ, ბაასის პარტიის სათავეში პანარაბული ქვეყნის შექმნისკენ.

ბაასიზმი იყო სეკულარული მოძრაობა და გამოდიოდა სახელმწიფოსა და რელიგიის გაყოფის იდეით, ბაასისტების მმართველობისას ერაყი და სირია რჩებოდნენ საერო სახელმწიფოებად. ისლამის განვითარება თეორეტიკოს-ბაასისტების მიერ განიხილებოდა არაბული კულტურის დიდებად და ხალხის ინტელექტუალურ სიცოცხლისუნარიანობად. მაგრამ გარდაუვალი იყო რომ როცა ბაასისტებმა აიღეს კონტროლი ერაყსა და სირიაზე, ისინი იმავე ხაფანგში აღმოჩნდნენ, როგორშიც მანამდე სხვა რეფორმატორები [Barret, R. გვ. 22].

წარმოიშვა ელიტარულობის, ფაშიზმის და რასიზმის ელემენტები და ბაასიზმი საკულტო გახდა ხელმძღვანელობისათვის და არა ავანგარდული მოძრაობა, რომელიც ხალხის ინტერესებისათვის იმუშავებდა. სალაფიური/თაქფირული მიდგომა და ბაასიზმი იყოფენ ახალ ხედვას, წარსულში დაბრუნებით - სახელმწიფოს მართვა სწავლულთა მცირე ჯგუფის მიერ.

ერაყში საერთაშორისო ტერორისტული „აკ-კაიდას“[15] ფილიალ AQI-ის[16] წევრებსა და ექსბაასისტებს შორის კავშირი გამყარებული იყო იმით, რომ ბევრი მათგანი აღმოჩნდა ერთად აშშ-ის მიერ მოწ-

ქალაქები ნაჯაფი და ქარბალა, ასევე ირანული ყუმი და მეშჰედი. არსებობს შიიტებში რამდენიმე განშტოება/მიმდინარეობა. შიიტებისთვის წმინდანია პირველი 12 იმამი, რომლებიც არიან ხალიფა ალი იბნ აბი ტალიბის, მისი შვილების და შვილიშვილების პირდაპირი შთამომავლები. შიიტობა თავიდანვე გამოირჩეოდა მისტიციზმით, მაგალითად სჯერათ მე-12 ბოლო იმამის, მუჰამად ალ-მაჰდის, რომელიც საიდუმლოდ გაუჩინარდა IX საუკუნის დასასრულს. ალ-მაჰდი (მესია) ხელახლა მოევლინება, გამოჩნდება განკითხვის დღეს/საშინელი სამსჯავროს დროს და აღადგენს დედამიწაზე სამართლიანობას. იხ.: [Gachechiladze, R. გვ. 95-101].

[15] **ალ-კაიდა** (არაბ.: **القاعدة**; ტრანსლიტ.: ალ-კაიდა; ინგლ.: Al-Qaeda ან al-Qa'ida – ბაზა, ფუნდამენტი, ფუძე, საყრდენი); სრული სახელწოდება „ალ-კაიდა ას-სულბა“ (არაბ.: **القاعدة الصلبة;** ინგლ.: Al-Qa'idah al-Sulbah - მტკიცე საფუძველი) საერთაშორისო ტერორისტული, ულტრარადიკალური, სალაფიტური, ისლამისტური ორგანიზაცია. შეიქმნა 1988 წ. 11 აგვისტოს (ან XX ს-ის 80-იან წლებში). ორგანიზაციის მიზანია ისლამურ ქვეყნებში „დიდი ისლამური სახალიფოს“ შექმნა. დაარსებიდან მოყოლებული მისი ლიდერი იყო N1 ტერორისტი საუდელი **უსამა ბინ ლადინი/ლადენი** (Osama bin Ladin; 1957–2011 წწ.), 2011 წლიდან კი ეგვიპტელი ტერორისტი, ექიმი, **აიმან აზ-ზავაჰირი** (Ayman al-Zawahiri; 1951–2022 წწ.). 1998 წელს კენიასა და ტანზანიის დედაქალაქების აშშ-ის საელჩოებში აფეთქებების მოწყობის შემდეგ „ალ-კაიდამ“ მსოფლიოში N 1 ტერორისტული ორგანიზაციის სტატუსი მოიპოვა. „ალ-კაიდა“ პასუხისმგებელი გახდა ტერაქტების დაგეგმვასა და განხორციელებაზე, მათ შორის აშშ-ში 2001 წ. 11 სექტემბრის ტერაქტებისა. ორგანიზაციის ამჟამინდელ დე-ფაქტო ლიდერად ითვლება ეგვიპტელი ტერორისტი, მეტსახელით **საიფ ალ-ადილი** ანუ **„მართლმსაჯულების მახვილი“** (არაბ.: **سيف العدل**; ინგლ.: Saif al-Adel, ნამდვილი სახელი **მუჰამად სალაჰ ად-დინ ალ-ჰალიმ ზაიდან** [Mohamed Salah al-Din al-Halim Zaidan]; დ. 1960/63).

[16] **ალ-კაიდა ერაყში** (არაბ.: **القاعدة في العراق**, ტრანსლიტ.: „ალ-კაიდა ფი ალ-ირაკ“; ინგლ.: Al-Qaeda in Iraq, AQI), – „ალ-კაიდასთან“ აფილირებული სალაფიურ-ჯიჰადისტური დაჯგუფება, რომელიც არსებობდა ერაყში 2004–2006 წლებში.

ყობილ დაკავების ცენტრებში ერაყში, როგორიცაა Camp Bucca.[17] ნათელია, რომ „დაიშის“ ლიდერი აბუ ბაქრ ალ-ბაღდადი გადაეკვეთა ბაასის პარტიის ყოფილ წევრებს, რომლებიც მოგვიანებით მაღალი რანგის პირები გახდნენ ISIS-ში.

ალიანსის გარიჟრაჟზე ბაასისტებმა შესაძლოა უპირატესობა მოიპოვეს, ვინაიდან მათ გააჩნდათ სამხედრო და ორგანიზატორული გამოცდილება, ბიუროკრატიის ქსელი, რომელიც AQI-ს და შემდგომ „ერაყის ისლამურ სახელმწიფოს“ (Islamic State of Iraq, ISI) აკლდა, მაგრამ სახალიფოს გამოცხადების პერიოდში 2014 წლისათვის, უკვე სალაფიელებმა/თაქფრიელებმა მოიპოვეს წარმატება [Barret, R. გვ. 23], რამაც იქამდე მიიყვანა საქმე, რომ ერაყის ფარგლებს გარეთ სუნიტების უფრო ფართო წრე მიუერთდა „ისლამურ სახელმწიფოს“. „ალ-კაიდა ერაყში“ (AQI) სახელის შეცვლა, ჯერ სახელით „ერაყის ისლამური სახელმწიფო“ (Islamic State of Iraq, ISI), შემდეგ ISIS-ით (ან ISIL) და ბოლოს „ისლამური სახელმწიფოს“ (Islamic State) სახელით, აჩვენებს უფრო მეტს, ვიდრე გეოგრაფიული ამბიციები ან ქედმაღლობის გამოვლინება. ახალი სახელწოდებით, აბუ ბაქრმა გააფართოვა დაჯგუფების მიმართ მიმზიდველობა, სირიისა და ერაყის ფარგლებს გარეთ. ჩვენი აზრით, ეს იყო მარკეტინგული ხრიკი. ხოლო ბარეტის აზრით, გეოგრაფიული შეზღუდვების მოხსნით, მან ბრძოლაში გამოიწვია „ალ-კაიდა“, როგორც გლობალური ჯიჰადის ლიდერი და მისცა დამატებითი საბაბი უცხოელ მებრძოლებს შეუერთდეს მას [Barret, R. გვ. 26].

ბარეტის მსგავსად „დაიშის“ იდეოლოგიის ორ მიმართულებაზე საუბრობს პრინსტონის უნივერსიტეტის დოქტორი, აღმოსავლეთმცოდნე, ვაჰაბიზმისა და ჯიჰადიზმის ექსპერტი, კოულ ბანზელი (Cole Bunzel). პირველი არის ჯიჰადიზმ-სალაფიზმი, ისლამური პოლიტიკური აზროვნების სკოლა, მეორე – მკაცრი ორიენტაცია ამ სკოლის ფარგლებში, რაც მნიშვნელოვნად განასხვავებს მას „ალ-კაიდასგან“ და დავამატებდით სხვა ტერორისტული ორგანიზაციისგან.

„დაიში“, როგორც „ალ-კაიდა“ გაიგივებულია ისლამური პოლიტიკური აზროვნების მოძრაობასთან, ცნობილია ჯიჰადიზმ-სალაფიზმით, ან მოკლედ რომ ვთქვათ ჯიჰადიზმით.

მაგალითად, 2007 წელს, აუდიომიმართვაში ISI-ის ლიდერად დანიშნულმა აბუ უმარ ალ-ბაღდადმა (1959–2010 წწ.) მოუწოდა „ყველა სუნიტს ჯიჰადისტური სალაფიზმისკენ (Al-Salafiyya Al-Jihadiyya) და იმავე წელს მისმა მოადგილემ ISIS-ის ბოევიკებს უწოდა „ჯიჰადისტურ-სალაფიური მიმდინარეობის ნაწილი“.

ეს არ იყო ფუჭი სიტყვები. ჯიჰადიზმ-სალაფიზმი ცალკეული იდეოლოგიაა, მოიცავს მეცნიერების გლობალური ქსელს, ვებგვერდებს, მედიას და მომ-

---

თავდაპირველად ორგანიზაციას ეწოდებოდა **ჯამაათ თავჰიდ ვა ალ-ჯიჰად** (არაბ.: **جماعة التوحيد والجهاد**; ტრანსლიტ.: Jama'at al-Tawhid wal-Jihad; ინგლ.: Organization of Monotheism and Jihad ან JTJ) – ერთღმერთიანობის და ჯიჰადის საზოგადოება, რომელიც შექმნა **აბუ მუსაბ აზ-ზარკავიმ** (Abu Musab al-Zarqawi, დაბადებული როგორც აჰმად ფადილ ნაზალ ალ-ხალაილა 1966–2006 წწ.) 1999 წ., იორდანიის ხელისუფლების ჩამოგდებისთვის, რომელიც მისი აზრით არაისლამური იყო. აშშ-ის ერაყში შესვლის შემდეგ დაჯგუფება გადაიქცა ფართო ქსელად, რომლის მიზანი იყო ერაყის შიიტებისგან გაწმენდა და ისლამური სახელმწიფოს ჩამოყალიბება. 2004 წელს აზ-ზარკავიმ შეჰფიცა უსამა ბინ ლადინს და ორგანიზაციას უწოდა „ალ-კაიდა ერაყში“ (Al-Qaeda in Iraq, AQI).

[17] **საფილტრაციო ბანაკი ბუქა** (არაბ.: **سجن بوكا**; ინგლ.: USMIL Camp Bucca), სადაც აშშ ათავსებდა ტერორიზმში ეჭვმიტანილ პირებს (არსებობდა 2003–2009 წლებში).

ხრეებს სოციალურ ქსელებში. მოძრაობა დაფუძნებულია ისლამური წმინდა წერილის ექსტრემისტულ და მინორიტარულ წაკითხვაზე, რომელიც ტექსტობრივად ძალიან მკაცრია.

ჯიჰადიზმ-სალაფიზმის პირველი მერცხალი გახდა XX საუკუნის 20-იან წლებში ჩამოყალიბებული ფუნდამენტალისტური მოძრაობა „მუსლიმთა საძმო“.

2. თაქფირიული განზომილება

ეგვიპტეში, ჰასან ალ-ბანას (1906–1949 წწ.) მიერ დაარსებული მოძრაობა, რომლის მიზანი იყო და არის ხელისუფლების და გავლენების მოპოვება ქვეყანაში (რაც მოხდა კიდეც 2012 წელს), არასდროს იყო ისეთი მკაცრი დოქტრინის თვალსაზრისით, როგორც თანამედროვე ჯიჰადიზმი. ბანზელის აზრით, „ძმები მუსლიმების“[18] მოძრაობა წარმოიშვა დასავლური იმპერიალიზმის აღზევების პასუხად, რომელიც ცდილობდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ისლამის უკუგდებას. იმავდროულად ის არაა შეურიგებელი სხვა ისლამური მიმდინარეობის მიმართ, როგორიცაა შიიზმი ან სუფიური მისტიციზმი [Bunzel, C. გვ. 9].

„იხვანებისთვის“ სახალიფოს აღდგენა, იდეალური მმართველობის სისტემა იქნება ისლამური სამყაროსთვის. MB-ს აქცენტი სახალიფოზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ჰასან ალ-ბანა ბევრს საუბრობდა ამ თემაზე: „ისლამი ითხოვს, რომ მუსლიმური საზოგადოება შეიკრიბოს ერთი ლიდერის – ისლამური სახელმწიფოს მეთაურის ირგვლივ და ეს უკრძალავს მუსლიმურ საზოგადოებას დაყოფას ... „იხვანები“ სახალიფოს იდეას და მუშაობას მისი აღდგენისათვის აყენებენ ყველა გეგმის წინ. მაგრამ პრაქტიკაში საძმომ გამოავლინა „შედარებითი გულგრილობა“ სახალიფოს ფაქტობრივი აღდგენის მიმართ. მისი აშენება იყო უფრო გრძელვადიანი პერსპექტივა, ვიდრე უახლოესი ამოცანა. თვითონ ალ-ბანაც აღიარებდა, რომ ამ მიზნის მიღწევა მოითხოვდა მნიშვნელოვან ძალისხმევას, მათ შორის კონფერენციების მოწვევას, პოლიტიკური პარტიების ჩამოყალიბებას და კავშირებს მთელ ისლამურ სამყაროში.

[18] **ძმები მუსლიმები** ან **მუსლიმთა საძმო** (არაბ.: **المسلمون الإخوان**; ინგლ.: Muslim Brothers/Muslim Brotherhood, MB; სრულად **„მუსლიმი ძმების საზოგადოება“;** არაბ.: „ჯამაათ ალ-იხვან ალ-მუსლიმუნ“; იგლ.: Society of the Muslim Brothers) ხშირად მოიხსენიებენ მოკლედ „იხვანები“ (არაბ.: ძმები). რელიგიურ-პოლიტიკური, პანისლამისტური სუნიტური მიმართულების რადიკალური ორგანიზაცია, დაარსებული მასწავლებლის, იმამის და შეიხის ჰასან ალ-ბანას (Hassan al-Banna; 1906–1949 წწ.) მიერ ეგვიპტეში 1928 წელს. MB-ს ბევრი მიმდევარი ჰყავს მსოფლიოში და დიდი გავლენით სარგებლობს მუსლიმებში. მისი სტატუსი არაერთგვაროვანია – ლეგალურად იმყოფება 17 არაბული ქვეყნის პოლიტიკურ სისტემაში და მასთან დაკავშირებულ პარტიებს ადგილები აქვს პარლამენტში და ამავე დროს ითვლება ერთ-ერთ პირველ ტერორისტულ ორგანიზაციად მსოფლიოში და აკრძალულია ბევრ ქვეყანაში, პირველ რიგში ეგვიპტეში, სირიაში, ყურის ქვეყნებში – საუდის არაბეთში, საამიროებში, ბაჰრეინში. 1949 წლიდან მისი იდეოლოგი გახდა ღვთისმეტყველი, პოეტი და მასწავლებელი საიდ კუტბი (Sayyid Qutb, 1906–1966 წწ.), რომელიც ეგვიპტეში სიკვდილით დასაჯეს. MB გააქტიურდა 2011 წლის „არაბული გაზაფხულის“ დროს, ხოლო 2012 წელს პირველად, ეგვიპტის ისტორიაში საპრეზიდენტო არჩევნებში დემოკრატიულად არჩეულ იქნა „იხვანების“ პარტიის წარმომადგენელი მუჰამად მურსი (Mohamed Morsi; 1951-2019 წწ.), ჩამოგდებული 2013 წლის 3 ივლისს, გადატრიალების შედეგად, ამჟამინდელი პრეზიდენტის აბდ ალ-ფათაჰ ას-სისის (Abdel Fattah Al-Sisi, დაბ. 1954) მიერ, რასაც ქვეყანაში მოჰყვა პროტესტების და ძალადობის ტალღა. MB-ს მომხრეები თავს ესხმოდნენ კოპტურ ეკლესიებს, სამთავრობო შენობებს და სხვ.. შემდეგ ეგვიპტის სასამართლომ MB გამოაცხადა ტერორისტულ ორგანიზაციად, ხოლო დატყვევებული, ნაწამები, როგორც მისი მრავალი პარტიელი, მურსი სასამართლო სხდომაზე გულის შეტევით გარდაიცვალა.

„მუსლიმური სახელმწიფოს“ აღდგენის იმედი „იხვანებს“ მიეცათ 2012 წელს, როცა ეგვიპტის ისტორიაში პირველად, მათმა კანდიდატმა მუჰამად მურსიმ საპრეზიდენტო არჩენებში გაიმარჯვება მოიპოვა.

ეს ქვეთავი „ძმები მუსლიმებით“ დავიწყეთ იმ მიზეზით, რომ ყველა თანამედროვე ისლამისტური არასამთავრობო რელიგიურ-პოლიტიკური ორგანიზაცია გამოვიდა ეგვიპტელი „ძმები მუსლიმების“ წიაღიდან. გამონაკლისი ამ წესიდან არც „დაიში“ იყო. ხოლო მისი იდეოლოგიური დოქტრინა „ალ-კაიდას“ თაქფირ-ჯიჰადისტებისგან არის ნასესხები, რომელიც ზოგიერთი მეცნიერის აზრის ვერ იარსებებდა საიდ კუტბის ნაშრომების გარეშე და, შესაბამისად, ამ ორგანიზაციის ჩამოყალიბების კატეგორიებად გამოდის განსაკუთრებული სახით ინტერპრეტირებული ორი ცნება – თაქფირი[19] და ჯიჰადი[20]. ამის გამო, რადიკალ ისლამისტებს ხშირად თაქფირ-ჯიჰადისტებსაც უწოდებენ.

ცნება „თაქფირი“ ეფუძნება ე. წ. „ისლამის მტრების“ გამოვლენას, რომელშიც, თანამედროვე ისლამისტი-თეორეტიკოსების აზრით, პირველ რიგში შედის ყველა არამუსლიმი („ქაფირი“ – ურწმუნო, ითხოვს არამუსლიმების განადგურებას – ქრისტიანების, ებიდების და სხვ.) და, მეორე – მუსლიმები, რომლებიც არ იზიარებენ ისლამისტების იდეოლოგიურ შეხედულებებს („მურთადი“, ანუ ისლამიდან განდგომილი, ასევე „მუნაფიკი“[21], ანუ ფარისეველი – ის, ვისაც არასწორად ან არაგულწრფელად სწამს) [Dobaev, I. გვ. 131-133]. ურწმუნოებაში მთელი მუსლიმური თემის დადანაშაულებით, ისინი ამართლებდნენ შიიტებისა და „დაბნეული“ მუსლიმების გენოციდს. ასეთ პოლიტიკას ახორციელებდა ISIS-ი მიტაცებულ ტერიტორიებზე.

რაც შეეხება ჯიჰადის კონცეფციას, მუსლიმური ორთოდოქსობის საპირწონედ კვალიფიკაცირდება როგორც „ისლამის მტრების“ წინააღმდეგ ბრძოლა, თანაც რადიკალი ისლამისტები უშვებენ შეტევითი ხასიათის ბრძოლას. ასე, აიმან აზ-ზავაჰირიმ, რომელიც ბინ ლადინის განადგურების შემდეგ 2011 წლის ივნისში „ალ-კაიდას“ ლიდერი გახდა, თავის წიგნში „ალ-ვალა ვა ალ-ბარა“, აშშ-სა და მისი მოკავშირეების მიერ ავღანეთის ტალიბანზე თავდასხ-

[19] **თაქფირიზმი** (არაბ.: **تكفيري**; ტრანსლიტ.: თაქფირი) ეგვიპტური წარმოშობის რადიკალურ-ისლამისტური იდეოლოგია, რომლის საფუძველს წარმოადგენს ადამიანის დადანაშაულება ურწმუნოებაში - ქუფრში (არაბ.: **كفر**) - ტერმინი, რომლითაც ისლამში აღნიშნავენ ყველაზე საშინელ ცოდვას. ადამიანს, რომელიც გახდა ურწმუნო უწოდებენ ქაფირს (არაბ. **كافر** – ურწმუნო, ურჯულო, უცხო რჯულის, უცხო სარწმუნოების). აქ იგულისხმება ადამიანი, რომელიც აღმსარებლობს სხვა არამუსლიმურ რელიგიას, ამასთანავე ქრისტიანებისა და იუდეველთათვის გამოიყენება სპეციალური ტერმინი „საღმრთო წერილის ხალხი“ (არაბ.: აჰლ ალ-ქითაბ). ზოგიერთი ექსპერტი თვლის, რომ თაქფირიზმი ეგვიპტეში რეპრესიული ავტორიტარიზმის და ეგვიპტური რეჟიმების არაერთი წარუმატებლობის შედეგია, პოლიტიკური ოპოზიციის მიმართულების საქმეში, დაწყებული 1952 წლიდან. ღვთისმეტყველი საიდ კუტბის (1906–1966 წწ.) ნაშრომების რადიკალურმა ინტერპრეტაციამ, გამოიწვია თაქფირიზმის დაბადება. თაქფირიზმ-ჯიჰადიზმის გამავრცელებლები არიან ისლამისტური ტერორისტული ორგანიზაციები და „დაიშის“ იდეოლოგიის ძირითადი ნაწილია.

[20] **ჯიჰადი** (არაბ.: **الجهاد**; ტრანსლიტ.: ალ-ჯიჰად; ინგლ.: Jihad). სიტყვასიტყვით „ძალისხმევა“. გაგება ისლამში, რომელიც ნიშნავს ძალისხმევას ალაჰის გზაზე, ბრძოლას სარწმუნოებისათვის, საღვთო ომი ისლამის გავრცელებისთვის.

[21] **მუნაფიკი** (არაბ.: **منافق**; რომანიზ.: munāfiq) - ისლამური ტერმინი, რომელიც ნიშნავს თვალთმაქცს. მუნაფიკი გარეგნულად თავს ღვთისმოსავ მუსლიმად აჩვენებს, მაგრამ სინადვილეში არ არის მორწმუნე, ფარისეველია.

მასთან დაკავშირებით, გამოაქვეყნა ერთგვარი ფათვა[22], რომელშიც ნათქვამია, რომ მუსლიმს ეკრძალება ურწმუნოებთან დაახლოება, ნებისმიერი საქმის დაჭერა ან იდეების მათგან აღება. აკრძალულია ურწმუნოების დახმარება მუსლიმებთან ომში და ჯვაროსნების რაიმე ფორმით გამართლება. მუსლიმებისთვის დადგენილია ჯიჰადის წარმოება უღვთო აგრესორების, განდგომილებისა და ფარისევლების წინააღმდეგ (ამ უკანასკნელებში იგულისხმება არაბული რეჟიმები, რომლებმაც თავიანთი ტერიტორია გამოყვეს ანტიტერორისტული კამპანიისთვის, ასევე ალიმები (სწავლულები, უხუცესები), რომლებიც ხელისუფლების მიერ მოსყიდულები ცრუ ფათვებს აქვეყნებენ).

თავის მხრივ, 2006 წელს განადგურებულმა „ალ-კაიდას“ ერაყის უჯრედის, ანუ AQI-ს ლიდერმა, იორდანიელმა ტერორისტმა აბუ მუსაბ აზ-ზარკავიმ, თავის ლექციაში, რომელიც მრავალ ვებსაიტზე გამოქვეყნდა სათაურით „თქვენ უფრო მეტი იცით თუ ალაჰმა?“, განაცხადა, რომ ჯიჰადი არის სავალდებულო ომი ურწმუნოების წინააღმდეგ. აზ-ზარკავის მტკიცებით, ტერმინი „სამოქალაქო მოსახლეობა“ არის მცდარი, რადგან ისლამი არ ყოფს ხალხს სამოქალაქო ან სამხედრო პირებად, ის ხალხს მხოლოდ მუსლიმებად და ურწმუნოებად ყოფს. და თუ „მუსლიმის სისხლი აკრძალულია, რასაც უნდა აკეთებდეს ან სადაც უნდა იმყოფებოდეს“, მაშინ „ურწმუნოს სისხლი ნებადართულია, რასაც უნდა აკეთებდეს ან სადაც უნდა იმყოფებოდეს, თუ მასთან ხელშეკრულება არ არის დადებული, ან ის არ იქნა შეწყალებული“. აზ-ზარკავი ადამიანებს სამ კატეგორიად ყოფდა:

1) მუსლიმები; 2) ისლამის მიმართ მშვიდობიანად განწყობილი ურწმუნოები, ანუ ისინი, ვინც მუსლიმების მფარველობის (ზიმი)[23] ქვეშ მოექცნენ, მათთან ზავი (ჰუდნა)[24] დადეს ან მათთვის მინიჭებული შეწყალებით (ამანი)[25] სარგებლობდნენ; 3) ყველა სხვა ადამიანი – აზ-ზარკავიმ ისინი „მეომარ მხარედ“ გამოაცხადა: რომ შარიათი ართმევს მათ დაცვას და მუსლიმებს აძლევს მათი მოკვლის უფლებას, გამონაკლისის დაშვებით მხოლოდ გარკვეული კატეგორიებისთვის (ძირითადად ბავშვებისთვის და ქალებისთვის). ამის საფუძველზე აზ-ზარკავი თვლიდა, რომ „ალაჰში ურწმუნოება

[22] **ფათვა** (არაბ.: **فتوى**; რომანიზ.: Fatwā) – ისლამში საღვთისმეტყველო გადაწყვეტილება ამა თუ იმ საკითხზე, რომელიც გამოაქვს **მუფთის** [არაბ.: **مفتي;** რომანიზ.: muftī, წარმოებულია „აფთადან“ – „აზრის გამოხატვა“) – მუსლიმების უმაღლესი სასულიერო პირი. უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილებები რელიგიურ-სამართლებრივ საკითხებზე და მისცეს განმარტებები შარიათის გამოყენებასთან დაკავშირებით. მისი გადაწყვეტილება (ფათვა) ეფუძნება კონკრეტულ ქვეყანაში გავრცელებულ ისლამის მიმართულებას (სუნიზმი, შიიზმი და ა. შ.) რელიგიურ-სამართლებრივ კანონებს (ფიკჰს), ასევე შარიათის სკოლას (მაზჰაბს)], ფაკიჰს (კანონმდებელი-ღვთისმეტყველი) ან ალიმს, დაფუძნებული ისლამის პრინციპებზე მუსლიმური იურიდიული პრაქტიკის მიხედვით. ფათვა ისლამური სამართლის ნორმატიულ-სამართლებრივი წყაროა.

[23] **ზიმი** (არაბ.: **ذمي**, ტრანსლიტ.: ზიმმი; კრებითი აჰლ აზ-ზიმა - „შეთანხმების ხალხი“) – არამუსლიმი მოსახლეობის კრებითი სახელი (ძირითადად მათი, ვინც აღმსარებლობს სხვა რელიგიას, ქრისტიანობას, იუდაიზმს და ა. შ.) იმ სახელმწიფოთა ტერიტორიაზე, რომლებიც შექმნილია ან დაპყრობილია მუსლიმების მიერ და სადაც სამართლებრივი სისტემა ეფუძნება შარიათის კანონებს.

[24] **ჰუდნა** (არაბ.: **هدنة**; სიტყვასიტყვით „სიმშვიდე“) – იგულისხმება დაზავება ან ცეცხლის შეწყვეტა.

[25] **ამანი** (არაბ.: **امان**; სიტყვასიტყვით „უსაფრთხოება“) – უსაფრთხოების გარანტია, რომელსაც მუსლიმი აძლევს არამუსლიმს ან მტერს. ასევე გამოიყენება ტერმინი ჯივარი (მფარველობა ან დაცვის ვალდებულება). ზიმისგან განსხვავებით, ამანი არის შეწყალების აქტი, რაიმე ურთიერთვალდებულებების განსაზღვრის გარეშე.

საკმარისი საფუძველია ურწმუნოს მოსაკლავად, რასაც უნდა აკეთებდეს ან სადაც უნდა იმყოფებოდეს“.

ამრიგად, ეგვიპტელი ისლამისტი თეორეტიკოსების ძალისხმევით, XX–XXI საუკუნეების მიჯნაზე ჩამოყალიბდა თაქფირიელ-ჯიჰადისტების თანამიმდევრული იდეოლოგიური დოქტრინა, რომელიც თანამედროვე ტერორიზმის იდეოლოგიურ დასაბუთებას წარმოადგენს, ისლამური სარწმუნოებრივი მოძღვრების საფარქვეშ, რადიკალი ისლამისტებისა და ტერორისტების სასტიკი პოლიტიკური პრაქტიკის გამართლებით. თითქმის ყველა თანამედროვე ისლამისტური ჯგუფი, IS-ის ჩათვლით, პირდაპირ იყენებს ამ დოქტრინის დებულებებს [Dobaev, I. გვ. 131-133].

3. სალაფიური განზომილება

სალაფიზმს შეაქვს თავისი წვლილი „ისლამური სახელმწიფოს“ იდეოლოგიაში, მიმართული სარწმუნოების ე. წ. განწმენდისთვის – „შირქის“[26] აღმოფხვრისათვის და „თავჰიდის“ (არაბ.: توحيد - ერთღმერთიანობა, მონოთეიზმი) დამტკიცებისთვის.

სალაფიელები საკუთარ თავს ჭეშმარიტ მუსლიმებს უწოდებენ. ისინი ვინც ეთაყვანებიან ქვებს, წმინდანებს, აკლდამებს და ა. შ. ითვლებიან რჯულგანდგომილებად. მათ განეკუთვნებიან შიიტები და დემოკრატები. პირველები დამნაშავეები არიან კერპთაყვანისმცემლობაში, მათ მიერ მოციქულ მუჰამადის ოჯახის გადაჭარბებულად თაყვანისცემაში, დემოკრატები კი ცდებიან, როცა უნიშნავენ კანონმდებლობაში „პარტნიორებს“ ღმერთს [Bunzel, C. გვ. 10].

სალაფიელების თავისებური ინტელექტუალური გენეალოგია შუა საუკუნეებიდან მოდის. სირიელი მეცნიერი, ჰანბალიური მაზჰაბის მიმდევარი, თაკი ად-დინ იბნ თაიმია და მისი მოწაფეები შეადგენენ სალაფიურ საღვთისმეტყველო ძირითად კორპუსს. მოგვიანებით სალაფიელი მოაზროვნეები მოვიდნენ ვაჰაბიზმიდან, სალაფიზმის ქვემიმდინარეობიდან.[27]

XVIII საუკუნის ბოლოს, ვაჰაბიზმი დაკავშირებული იყო საუდელების პოლიტიკურ ისტებლიშმენტთან და რჩება ასეთად დღესაც, თვლის ბანზელი. საუდელები დაეხმარნენ ვაჰაბიტებს თავს მოეხვიათ სარწმუნოების თავისი ვერსია მთელ არაბეთზე, ჯიჰადის წარმოებით სავარაუდო ერეტიკოსების წინააღმდეგ, შირქის განადგურებისთვის და თავჰიდის დამტკიცებისთვის. ვაჰაბიტური ჯიჰადი

[26] **შირქი** (არაბ.: **شرك** – კერპთაყვანისმცემლობა, წარმართობა, პოლითეიზმი), ხოლო **მუშრიქები** (არაბ.: **مشركون**; ტრანსლიტ.: მუშრიქუნ; ისინი ვინც ასრულებენ შირქს, ანუ განზრახული აქვთ რაღაც ისლამის წინააღმდეგ.

[27] VIII–XI სს. სუნიზმში შეიქმნა საღვთისმეტყველო-სამართლებრივი სკოლები – მაზჰაბები (არაბ.: **مذهب**; სწავლება, დოქტრინა), რომელთა შორის განსხვავებაა შარიათის ინტერპრეტაციაში და გამოყენებაში, ესენია: ჰანაფიური, მალიქიური, შაფიიური და ჰანბალიური. მიუხედავად იმისა, რომ მაზჰაბებს შორის განსხვავებებია, ყველა ითვლება ლეგიტიმურად და თანასწორუფლებიანად.

ყველაზე გავრცელებულია **ჰანაფიური მაზჰაბი,** ხოლო **ჰანბალიური** ყველაზე კონსერვატიულია. სწორედ ამ სკოლამ მისცა დასაბამი ფუნდამენტალისტურ-პურიტანულ მოძრაობას, რომელიც ვაჰაბიის/ვაჰაბიზმის სახელითაა ცნობილი. სკოლის დამაარსებელია, მუსლიმი სამართალმცოდნე, ღვთისმეტყველი და ეპონიმი ჰანბალიური მაზჰაბის – **აჰმად ბინ ჰანბალი** (780–855 წწ.). მიმდინარეობა ჩაისახა ერაყში და XI–XII საუკუნეებში გავრცელდა ლევანტის ტერიტორიაზე, რომელიც გახდა სკოლის მეორე სამშობლო. იქედან გავრცელდა ეგვიპტეში და სხვაგან. ჰანბალიტები ყველაზე მცირერიცხოვანი არიან ოთხი მიმდინარეობის მიმდევრებს შორის. ჰანბალიზმის დოგმატურ-სამართლებრივი სკოლა ოფიციალურია საუდის არაბეთში, კატარში.

გულისხმობდა აკლდამების და სალოცავების დანგრევას და გარკვეული სარიტუალო პრაქტიკის ჩატარებას, შიიზმიდან ისლამის განწმენდას.

ბანზელი წერს, რომ ჯიჰადიზმში ანტიშიიტური ელემენტი მომდინარეობს სალაფიზმის ისტორიული მტრობიდან შიიტების მიმართ. 1792 წელს, ვაჰაბიტების ძალებმა შეუტიეს შიიტების ცენტრ ალ-აჰსას (Al-Ahsa) აღმოსავლეთ არაბეთში, რათა ამოეძირკვათ იქ შიიტური წეს-ჩვეულებები. მოგვიანებით 1801 წელს, მათ აიღეს შიიტების ორი სიწმინდე – ნაჯაფი და ქარბალა ერაყში და რამდენიმე ათასი ადამიანი მოკლეს. ჯერ კიდევ 1927 წ. წამყვანი ვაჰაბიტი საუდელი მეცნიერები ძალით ცდილობდნენ შიიტების „მოქცევას“ ქვეყნის აღმოსავლეთ პროვინციაში ან უნდოდათ მათი განდევნა [Banzel, C. გვ. 10]. დღესაც, ანტიშიიტურ განწყობებს ჯერ კიდევ აქვს ფესვები გამჯდარი სალაფიზმში.

უნდა ითქვას, რომ ისლამის სხვადასხვა მიმართულების წარმომადგენლებს შორის კონფლიქტი თავდაპირველად პოლიტიკური ხასიათის იყო. უთანხმოება დაიწყო წინასწარმეტყველი მუჰამადის გარდაცვალებისთანავე, როცა ხალიფას ირჩევდნენ რამდენიმე პრეტენდენტიდან, რომელთაგან პირველი გახდა აბუ ბაქრ ას-სიდიკი (პირველი მართლმორწმუნე ხალიფა, 572–634 წწ.), და არა შიიტებისთვის პატივსაცემი ალი იბნ აბი ტალიბი, შემდგომ მეოთხე ხალიფა (656–661 წწ.). ალი რომ აერჩიათ პირველ ხალიფად, მაშინ მუსლიმური ცივილიზაციის ისტორია სხვანაირად განვითარდებოდა.

მუჰამადის დროს, საკითხი თუ ვინ იქნებოდა მუსლიმების ლიდერი არ იდგა. თვითონ მუჰამადი, როგორც რელიგიური ისე პოლიტიკური ლიდერი იყო. გამომდინარე იქიდან, რომ მოციქულმა მემკვიდრე არ დატოვა, მუსლიმებს თვითონ უნდა აერჩიათ ვინ იქნებოდა მათი ღირსეული ლიდერი. უნდა დადგენილიყო ხალიფების არჩევის წესი და ასევე განსაზღვრულიყო უმაღლესი ხელისუფლების მნიშვნელობა რელიგიის თვალსაზრისით. ეს საკითხები გახდა ცხარე კამათის საგანი. შედეგად პრინციპულად სხვადასხვა მიდგომა მუსლიმურ უმაში[28], გახდა შიიტების და სუნიტების დაყოფის მიზეზი. პირველები თვლიდნენ, რომ ხელისუფლება მემკვიდრეობით უნდა გადადიოდეს, მეორენი კი – მმართველად უნდა ირჩეოდეს ყველაზე ღირსეული კანდიდატი. განხეთქილება მოხდა სიფინის ბრძოლის შემდეგ 657 წელს, ხალიფა ალის მომხრეებსა (შემდგომში შიიტებს) და სხვა ხალიფა მუავიას (შემდგომ სუნიტებს) შორის, ხოლო 661 წელსმოხდა საბოლოო დაყოფა [Enciclopedia Britannica].

XX საუკუნის ბოლო ათწლეულში არაბულ ახლო აღმოსავლეთში შეიმჩნეოდა ისლამისტური დაჯგუფებების ზრდა, როგორც „ძმები მუსლიმების“, ისე სხვა ჯგუფების სალაფიელთა აქტიურობის გავლენით. მათი იდეოლოგი და მთავარი სულისჩამდგმელი იყო ეგვიპტელი საიდ კუტბი (1906–1966 წწ.), რომელიც იზიარებდა „იხვანების“ აქტივობის რადიკალურ, რევოლუციურ ვერსიას. ეს დაჯგუფე-

[28] **უმა/უმმა** (არაბ.: أمة – თემი, ერი). ისლამში – რელიგიური თემი. აღნიშნული ტერმინის მნიშვნელობა საბოლოოდ ჩამოყალიბდა წინასწარმეტყველ (მოციქული) მუჰამადის ქადაგებების მსვლელობისას და მისი მექაში (მაქა ალ - მუქარამა) მოღვაწეობის ბოლოსკენ (620–622 წწ.).

ბები ცდილობდნენ არსებულ მთავრობათა ჩამოგდებას და სახელმწიფოდ ჩანაცვლებას.

„ალ-კაიდაც“ ანალოგიურ იდეოლოგიას იზიარებდა, მაგრამ სხვა სტრატეგიას უჭერდა მხარს, აშშ-ის თავდასხმაზე ყურადღების გამახვილებით, როგორც პირველი ნაბიჯი ისლამური სახელმწიფოს შექმნის გზაზე. ბუნებრივია მისი ლიდერი უსამა ბინ ლადინი ხშირად საუბრობდა სახალიფოს აღდგენაზე [Bunzel, C. გვ. 11].

ამ ჯგუფების გაზრდასთან ერთად ყალიბდებოდა ასევე დამოუკიდებელი მეცნიერების მჭიდრო ქსელი, რომლებიც აძლევდნენ იდეოლოგიურ შინაარსს ახალშობილ ჯიჰადისტურ მოძრაობებს. ისეთი მეცნიერების ნაშრომები, როგორიცაა იორდანელ-პალესტინელი ისლამისტი მწერალი აბუ მუჰამად ალ-მაკდისი (Abu Muhammad al-Maqdisi; დაბ. 1969) ან სირიელი ჯიჰადისტი თეორეტიკოსი შეიხ აბუ ბასირ ატ-ტარტუსი (Abu Basir al-Tartusi; დაბ. 1959) დაეხმარნენ აეღოთ გეზი მოძრაობებს.

კუტბისა და „იხვანების“ ზეგავლენის ქვეშ მყოფმა, ამ სწავლულებმა ეტაპობრივად მოახდინეს დისტანცირება და მიიღეს სალაფიური ორიენტაციის ახალი მიმართულება – ჯიჰადიზმ-სალაფიზმი. შესაბამისად, ბოლო 20 წლის განმავლობაში ჯიჰადიზმში სულ უფრო ჭარბობს სალაფიური განზომილება. ხოლო იბნ თაიმიას ვაჰაბიზმის ტრადიცია და სხვა მეცნიერების ნაშრომები გახდა მოძრაობის იდეოლოგიური საფუძველი [Banzel, C. გვ. 11].

4. ჰიბრიდული იდეოლოგია

ვაშინგტონის ანალიტიკური ცენტრის მკვლევრის, ჰასან ჰასანის (Hassan Hassan)[29] აზრით „დაიშის“ იდეოლოგია მრავალგეგმური მოვლენაა, მისი წარმოშობა არ შეიძლება აიხსნას ერთი პიროვნების გავლენით, მოძრაობით ან დროით. „დაიშის“ წევრები საკუთარ თავს უწოდებენ ჭეშმარიტი ისლამის მიმდევრებს, ადრინდელი ისლამის პერიოდის ინტერპრეტაციით – სალაფიზმით – ამასთანავე ეფუძნებიან სალაფიზმის მკაცრ განშტოებას, კერძოდ ვაჰაბიზმის იდეოლოგიას. „დაიშის“ ექსტრემიზმი კი დოგმატური სალაფიზმის სხვა ისლამისტურ მიმდინარეობებთან შეჯვარების შედეგია [Hassan, H. გვ. 8].

„დაიში“ ემყარება არაერთი იდეოლოგის ჯიჰადისტურ ლიტერატურას და ასევე იმ რელიგიური ლიდერების ნაშრომებს, რომლებიც ფორმალურად არ გამოდიან ამ დაჯგუფების მხარეს, მაგრამ, ამასთანავე, ქადაგებენ ისეთ იდეებს, რომლებიც ოფიციალურ ისლამს ეწინააღმდეგება. ზოგიერთი მათგანი პირდაპირი შთამომავლები არიან ინტელექტუალური რელიგიური მოძრაობა „ას-საჰვასი“, რომელმაც სერიოზულად გამოაცხადა თავის შესახებ XX ს-ის 70-იან წლებში[30].

---

[29] **ჰასან ჰასანი** (Hassan Hassan) – ვაშინგტონის ანალიტიკური ცენტრის – Tahrir Institute for Middle East Policy-ის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, საამიროების გაზეთ National-ის მიმომხილველი, ცნობილი Chatham House-ის მკვლევარი. მუშაობს ახლო აღმოსავლეთის პრობლემატიკაზე. **მაიკლ ვაისთან** (Michael Weiss, გავლენიანი Foreign Policy-ის და სხვა ანალიტიკური ცენტრების მიმომხილველი) ერთად ავტორია New York Times-ის და Washington Post-ის ბესტსელერის „ISIS: ტერორის არმიის შიგნით“, რომელიც ერთ-ერთ საუკეთესო კვლევად ითვლება „დაიშის“ შესახებ.

[30] **„მოძრაობა ას-საჰვა“** (Sahwa movement), უფრო **„ას-საჰვა ალ-ისლამია“** (არაბ.: **الصحوة الإسلامية**; ინგლ.: Al-Sahwa Al-Islamiyya; ისლამური აღორძინების/გამოღვიძების მოძრაობა) არის საუდიური სალაფიზმის პოლიტიკურად აქტიური ფრაქცია. სოციალური აქტივობის წყალობით მათ „დაიმსახურეს“ მხარდაჭერა სამეფოს ახალგაზრდა თაობაში.

მოძრაობა „ას-საჰვა“ დაყოფილია რამდენიმე კონკურენტულ მიმდინარეობად. ოპოზიციური როლის კონტექსტში და მოძრაობის პოტენციალით იგი შეიძლება დავახასიათოთ არაერთგვაროვან სოციო-რელიგიურ და XX ს 90-იანებიდან უკვე პოლიტიკურ მოძრაობად, რომელიც შედგება ვაჰაბიტური რელიგიურ-კულტურული ბირთვისგან, სალაფიტური ტიპის ძლიერი მოდერნიზებული მიმდინარეობის და „იხვანების“ მეთოდებისგან. ამ განმარტების თანახმად, „ას-საჰვას“ შეიძლება ვუწოდოთ უნიკალური და გავლენიანი სოციოკულტურული და პოლიტიკურ ძალა საუდის არაბეთში [Islamrf, ru.].

ამ მოსაზრებასაც იზიარებს ჰასან ჰასანი და განმარტავს, რომ „ას-საჰვას“ იდეოლოგიებმა შეათავსეს სალაფიზმი ისლამური პოლიტიკური მოძრაობის არაერთ რევოლუციურ იდეასთან, მაგრამ ძირითადად იყენებდნენ იმ მიმდინარეობებს, რომლებზეც გავლენა მოახდინა „ძმები მუსლიმების“ იდეოლოგიამ. ამ აღრევამ გამოიწვია განხეთქილება „ას-საჰვას“ მომხრეებს შორის და დაბადა ახალი და ხანდახან არაპროგნოზირებადი რელიგიური მიმდინარეობები.

პოლიტიკურად ნეიტრალური სალაფიზმის ნაცვლად მოვიდა პოლიტიკურად ორიენტირებული თაქფირიზმი, რელიგიური ექსტრემიზმის ნაირსახეობა, რომლის საფუძველია სხვა მუსლიმების დადანაშაულება ურწმუნოებასა და რჯულგანდგომილებაში. ეს იდეოლოგია გახდა სახალიფოს, ჯიჰადის და ხელისუფლებისადმი დაუმორჩილებლობის ნიშანი. „დაიში“ წარმოადგენს თაქფირიული სწავლებისა და იდეების მემკვიდრეობის ნაწილს, მაგრამ ამ ტერორისტული ორგანიზაციის შეუვალი და დამყაყებული იდეოლოგია, შესამჩნევად გამოირჩევა სხვა დანარჩენი მიმდინარეობების ფონზე და ამ დაჯგუფების უარი წავიდნენ კომპრომისებზე, ქმნის „თაქფირიზმის კულტურას თაქფირიზმის შიგნით“.

5. იდეოლოგია პრაქტიკაში

ISIS-ი, აღზევების პერიოდში ოსტატურად აღვივებდა და ექსპლუატაციას უწევდა კონფესიათაშორის მტრობას, რომელიც დიდი ხანია არსებობს ახლო აღმოსავლეთის ხალხებს შორის. იყენებდა თემთა შორის ზიზღს და რელიგიურ კონცეფციებს, რათა შეეკრიბა ახალი წევრები და მოეხდინა მოწინააღმდეგე ძალების ნეიტრალიზება. აღმოჩნდა, რომ იგი ახალი წევრების გადაბირებას უფრო აქტიურად ახორციელებდა ვიდრე „ალ-კაიდა“. დაჯგუფება იყენებდა მათთან დაახლოებული „მეცნიერების“ იდეებს და ნაშრომებს (რომლებიც ამართლებდნენ სიმხეცეს, მათ შორის მუსლიმებთან მიმართებაში) იმისთვის, რომ ბრალი დაედო ურწმუნოებაში საუდის არაბეთის და სხვა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების მმართველებისა და სასულიერო პირებისთვის, რათა აეხსნათ ახალი წევრებისთვის ძალადობის საჭიროება, იშველიებდა რა

როგორც ამბობენ „ას-საჰვა“ არის „სალაფიელთა“ და „იხვანთა“ შენადნობი. არაბული მედიის თანახმად, მოძრაობა ყველაზე მოწინავე მოდერნისტული მოძრაობაა სამეფოში. ას-საჰვა ჩაისახა XX-ს-ის 70-იან წლებში, უნივერსიტეტებში და სხვა ელიტარულ ინსტიტუტებში, მაგრამ მისი ფესვები უფრო ღრმად, მინიმუმ XX-ს-ის 60-იან წლებიდან მოდის. მაშინ საუდის არაბეთის სამეფო მოექცა საზღვარგარეთიდან გავლენის, კერძოდ ეგვიპტელი „ძმები მუსლიმების“ იდეების გავლენის ქვეშ, რომლებმაც დაიწყეს ჩამოსვლა სამეფოში XX-ს-ის 50-60-იან წლებში, თავის ქვეყანაში დევნის თავიდან აცილების მიზნით. ექსპერტები ახასიათებენ იდეოლოგიურ ძალას, რომელიც დგას მოძრაობის უკან, როგორც საუდიური აზროვნების და „იხვანების“ ფილოსოფიის შენადნობი.

სიუჟეტებს ადრინდელი ისლამის ისტორიიდან, საკუთარი ინტერპრეტაციით [Hassan, H. გვ. 8-10].

ეზიდთა ეთნიკური ჯგუფიდან მონებად ასობით ქალის გადაქცევა ქალაქ სინჯარის რაიონში (ერაყი), მასობრივმა მკვლელობამ მინიმუმ 1500 შიიტი სამხედროს თიქრითში (ერაყი) და ასობით სუნიტის სირიიდან და ერაყიდან, დასავლელი ტყვეებისთვის თავის მოკვეთამ, გამოიწვია ფასეულობათა კოლექტიური გადაფასება.

ამერიკელი სამხედროები არაერთხელ უსვამდნენ ხაზს იდეოლოგიური ფაქტორის მნიშვნელობას „დაიშთან" წარმატებული ბრძოლისთვის. ასე, გენერალ-მაიორი მაიკლ ნაგატა (Michael Nagata), ამერიკული სპეცდანიშნულების ძალების ყოფილი მეთაური ახლო აღმოსავლეთში, ამბობდა: „ჩვენ არ გვესმის რა მოძრაობაა ეს, და სანამ ვერ გავიგებთ, ვერ შევძლებთ მასზე გამარჯვებას" [Schmitt, E.].

სხვა დაჯგუფებათა საველე მეთაურები, რომლებიც იბრძოდნენ „დაიშის" წინააღმდეგ სირიაში, აღნიშნავდნენ, რომ იდეოლოგიური ფაქტორი უშლიდა მათ ხელს მის წინააღმდეგ ძალების მობილიზაციაში. მუსლიმი სამხედროები ხშირად უარს ამბობდნენ „დაიშის" წინააღმდეგ ბრძოლაზე რელიგიური მიზეზებით. ეს განსაკუთრებით აქტუალური იყო დასავლეთის მიერ მხარდაჭერილი სამხედრო ოპერაციების დროს. ამ კონტექსტში იდეოლოგიის საკითხებს პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა IS-ის წინააღმდეგ საბრძოლველად.

მკვლევრების მოსაზრებები „დაიშის" ასეთი აგრესიული ხასიათის ფორმირების მიზეზებზე განსხვავდება. ზოგიერთი თვლის, რომ „ისლამური სახელმწიფო" მიჰვება ტრადიციებს, რომლის ფესვები მოდის წარსულიდან, როცა ამ დროს სხვები აკავშირებენ მათ გავრცელებას და მხეცობებს ერაყში 2003 წელს დაწყებულ ამერიკულ კამპანიასა და, ასევე, ირანის როლის გაზრდასთან შიიტური რაზმების მხარდაჭერაში რეგიონში.

მიმომხილველები პირდაპირ უწოდებენ პოლიტიკურ ისლამს „დაიშის" დაუნდობლობის და სისასტიკის მომასწავებელს, როცა სხვებს „დაიში" დაჰყავთ ისეთი ორგანიზაციის დონემდე, სადაც კონფესიათაშორისი სიძულვილი დაკავშირებულია უშუალოდ ოპორტუნიზმის შეხედულებებთან, რომელიც იკვებება რეგიონალური პოლიტიკური მოთამაშეებით. აშკარაა, „დაიშის" იდეოლოგია მრავალგეგმური მოვლენაა, მისი წარმოშობა არ შეიძლება აიხსნას ერთი პიროვნების გავლენით, მოძრაობით ან დროით და ეს ნამდვილად იდეალური განმარტებაა [Hassan, H. გვ. 10].

უშუალოდ სალაფიზმი და პოლიტიკური ისლამი არ იწვევდა „დაიშის" მომხრეთა ზრდას და არ წარმოადგენდა ექსტრემიზმის კატალიზატორს. პირიქით სალაფიზმშიც და პოლიტიკურ ისლამშიც არის შეზღუდვები, რომელსაც შეუძლია შეაკავოს ექსტრემიზმის ის ტიპი, რასაც მისდევდა „ისლამური სახელმწიფო". ამის მსგავსად, პოლიტიკურ უკმაყოფილებას ან მორალურ-ზნეობრივ მდგომარეობას არ შეუძლია უბიძგოს „ისლამურ სახელმწიფოში" გაწევრებისკენ. ამ დაჯგუფების აყვავების ოპტიმალური ნიადაგი იყო პოლიტიკური შევიწროება, სახელმწიფოთა ხელისუფლებების უმოქმედობა, კონფესიათაშორისი უთანხმოებები.

ISSN 1512-0996
www.shromebi.gtu.ge

6. ვაჰაბიტური ფესვები

ვაჰაბიზმი ხასიათდება უკიდურესი ტრადიციონალიზმით და პირდაპირობით, რომელიც უარყოფს არაერთ სქოლასტიკურ კონცეპციას, რასაც იზიარებს სხვა ისლამური რელიგიური სკოლები, მათ შორისაა: „მაკასიდი“[31], „ქალამი“[32], „სუფიზმი“, უფრო „ათ-თასავუფი“, „ალ-მაჯაზი“[33]. ვაჰაბიტები იყენებენ გაგებას „ბიდა“[34] – ისლამური ტერმინი, რომელიც ნიშნავს რელიგიური პრაქტიკების არასანქცირებულ გამოგონებაზე აკრძალვას, რომელთა ბევრი პრაქტიკის, ძირითადად სუფიური და შიიტურის მარკირება ხდება, როგორც პოლიტეისტურის. ბიდასთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მიცემით, ვაჰაბიტები დგებიან მოლიპულ გზაზე, რომელსაც ნებისმიერი მუსლიმი შეუძლია გამოაცხადოს რჯულგანდგომილად.

მაგალითად, თუ მუსლიმი მიმართავს წმინდანთა ადგილებს, მოინახულებს მათი დაკრძალვის ადგილებს, „ვასილას“ პრინციპის ხელმძღვანელობით, ანუ სურვილით მიუახლოვდეს ალაჰს და დაიმსახუროს მისი კეთილგანწყობა, ეს განიხილება როგორც მოქმედება, რომელიც ავტომატურად გამორიცხავს მორწმუნეს ისლამიდან[35].

სასაფლაოს შემოვლა, პირუტყვის დაკვლა წმინდანისთვის ან რწმენა იმამების ღვთაებრივ მადლში, ასევე ითვლება პოლითეისტურ პრაქტიკად. როცა ამ დროს გაბატონებული ისლამური მიმდინარეობის მიმდევრები თვლიან, რომ ნებისმიერი სიახლე ისლამში აკრძალულია, ვაჰაბიელი რელიგიური ლიდერები უფრო შორს მიდიან – ემხრობიან ხისტ პოზიციას, რომლის თანახმად ბიდას გაგებაში ხვდება რელიგიური პრაქტიკის ბევრი ელემენტი, რომელიც დანარჩენი მუსლიმების მიერ სავსებით კანონიერად ითვლება. ვაჰაბიელი კლერიკალები უარყოფენ სუფიურ და შიიტურ მტკიცებულებებს, რომ რელიგიური პრაქტიკის ასეთი ფორმები არ წარმოადგენს თაყვანისცემას [Hassan, H. გვ. 11].

ვაჰაბიზმის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წვლილად „დაიშში“ შეიძლება ჩაითვალოს კონცეფცია „ალ-ვალა ვა ალ-ბარა“[36] (არაისლამური იდეების და რიტუ-

---

[31] **მაკასიდ** (არაბ.: **مقاص**; ინგლ.: Maqasid Al-shari'ah – შარიათის კანონის სული, მიზანი, ამოცანა, განზრახვა) – ისლამურ სამართალში ეს ტერმინი ნიშნავს „ამოცანებს, განზრახვებს, მთავარ მიზნებს, ისლამური ცნებების განსაკუთრებულ მნიშვნელობებს“. რაც შეეხება შარიათს, თანამედროვე მუსლიმი მეცნიერები გამოყოფენ ხუთ მთავარ მიზანს (მაკასიდ აშ-შარია): 1. რელიგიის დაცვა (დინი) 2. სიცოცხლის დაცვა (ნაფსი) 3. შთამომავლობის დაცვა (ნასლი) 4. გონიერების დაცვა (აკლი) 5. ქონების დაცვა (მალი).

[32] **ქალამი** (არაბ.: **الكلام** – სიტყვა, მეტყველება) – შუა საუკუნეების მუსლიმურ ლიტერატურაში: ნებისმიერი მსჯელობა რელიგიურ და ფილოსოფიურ თემაზე და ასევე, განსაკუთრებული გაგებით, სპეკულაციური დისციპლინა, რომელიც ისლამის დოგმებს აძლევს ახსნა-განმარტებას გონიერებაზე და არა რელიგიური ავტორიტეტების განმარტებებზე დაყრდნობით. ქალამს ასევე რაციონალისტურ თეოლოგიას და არაბულ-მუსლიმური ფილოსოფიის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას უწოდებენ. აღინიშნება, რომ დაუშვებელია ქალამი ორთოდოქსულად ჩაითვალოს.

[33] **ალ-მაჯაზი** (არაბ.: **المجاز**) – ისლამში ქარაგმა, იგავი, მეტაფორა, მეტყველების ბრუნვა, რომელიც შედგება გადატანითი მნიშვნელობებისგან და ეფუძნება რაიმესთან შედარებას.

[34] **ბიდა** (არაბ.: **بدعة**; რომანიზ.: bidʿah) – ისლამში სიახლე, ახალშემოღებული წესი.

[35] **ვასილა** (არაბ.: **وسيلة**; ინგლ.: waseelah) – ისლამში ნიშნავს ძლიერი სურვილით რაღაცის მიღწევას. ალაჰთან დაახლოების საშუალება. სამოთხეში უმაღლესი დონე. რაც უფრო მეტ კეთილ საქმეს და ნაკლებ ცოდვას ჩაიდენს ადამიანი თავის ცხოვრებაში, მით უფრო მაღალ დონეზე მოხვდება.

[36] **ალ-ვალა ვა ალ-ბარა** (არაბ.: **الولاء والبراء**; რომანიზ.: Al-wala' wa'l-bara') – „ერთგულება და უარყოფა“, „სიმპათია და ანტიპათია“ – დოქტრინა სალაფიურ ისლამში, რომელიც ყოფს კაცობრიობას ჭეშმარიტ მუსლიმებად (რომლებიც უნდა გიყვარდეს/უერთგულო – ვალა) და ყველა დანარჩენად (რომლების მიმართ მტრობა, სიძულვილი ან განრიდება/უარყოფა უნდა გამოხატო – ბარა). ამბობენ, რომ აღნიშნული ფრაზა მოიგონეს ხარიჯიტებმა (მესამე

ალების უარყოფა და ისლამისადმი ერთგულება) და თავჰიდი. ამ კონცეფციის თანახმად ჭეშმარიტი მორწმუნე მუსლიმი არა მარტო უნდა იგნორირებდეს არაისლამურ პრაქტიკებს და სხვა რელიგიურ კონფესიებს, არამედ აქტიურად და მთელი გულით უნდა უარყოს ისინი.

„დაიში“ ციტირებს სალაფიელი ღვთისმეტყველების ნაშრომებს, იდეებს. თუმცა, მარტო სალაფიზმის და ვაჰაბიზმის თეორიასა და პრაქტიკას რომ დავაბრალოთ IS-ის ექსტრემისტობა ან უკიდურესი სისასტიკე, იქნებოდა ზედაპირული და ზედმეტად გამარტივებული მიდგომა, თვლის ჰასან ჰასანი [Hassan, H. გვ. 12].

7. „დაიში“ და „ალ-კაიდა“ – განსხვავებული მიდგომები რადიკალურ თაქფირიზმში

ჯიჰადიზმი რომ იყოს მოთავსებული პოლიტიკურ სპექტრში, „ალ-კაიდა“ ალბათ იქნებოდა მისი მემარცხენე, ხოლო „ისლამური სახელმწიფო“ – მემარჯვენე მიმართულების. პრინციპში ორივე დაჯგუფება ემხრობა სალაფიურ თეოლოგიას და მაგალითია ჯიჰადისტური მოძრაობებისთვის. მაგრამ „დაიში“ ამას აკეთებს უფრო სასტიკად. „ალ-კაიდასგან“ განსხვავებით, ის აბსოლუტურად უკომპრომისოა დოქტრინურ საკითხებში და აძლევს პრიორიტეტს სალაფიური აზროვნების წინსვლას.

„ისლამური სახელმწიფოს“ მიერ ჯიჰადიზმ-სალაფიზმის ასეთ უხეშ, მკაცრ ვერსიას მიაწერენ აბუ მუსაბ აზ-ზარკავის (1966–2006 წწ.), AQI-ს დამაარსებელს, რომელიც სწავლობდა თეოლოგიას „გამოჩენილ“ ჯიჰადისტ, ზემოხსენებულ მეცნიერთან აბუ მუჰამად ალ-მაკდისთან.

„ისლამური სახელმწიფოს“ პირველი ლიდერები – აბუ უმარ ალ-ბაღდადი (Abu Hamza al-Baghdadi/Abu Omar al-Qurashi al-Baghdadi; 1959–2010 წწ.) და აბუ ჰამზა ალ-მუჰაჯირი (Abu Ayyub al-Masri/ Abu Hamza al-Muhajir, 1967–2010 წწ.) ასევე იყვნენ მტკიცე მომხრეები ჯიჰადიზმ-სალაფიზმისა. ისინი თავიანთ გამოსვლებში ხშირად ეყრდნობოდნენ ავტორიტეტული სალაფიურ, ვაჰაბიური ტრადიციის მომხრე სწავლულთა გამონათქვამებს.

„ისლამური სახელმწიფოს“ ოფიციალური პრესსპიკერი აბუ მუჰამად ალ-ადნან აშ-შამი (Abu Muhammad al-Adnani al-Sham, იგივე ტაჰა სუბჰი ფალაჰა [Taha Subhi Falaha]; 1977–2016 წწ.) ასწავლიდა კიდეც მუჰამად იბნ აბდ ალ-ვაჰაბის ნაშრომებს თავის მეგობარ, მოსწავლე ჯიჰადისტებს. თავის Vice News-ის დოკუმენტურ პროპაგანდისტულ ფილმში „ისლამურ სახელმწიფოზე“ 2014 წლის აგვისტოს, ნაჩვენებია მანქანა-ფურგონი, რომელზეც მიკრული ვაჰაბიტური წარწერები, ქადაგებდნენ არ-რაკაში.

„დაიშის“ ოფიციალური პუბლიკაციები წარმოადგენენ ძირითადად მეცნიერ-ვაჰაბიტების ციტატებს და უფრო დოგმატურად უდგებიან საკითხს, ვიდრე „ალ-კაიდა“. მათგან ყველაზე ცნობილები იუწყებიან: ყველა მუსლიმი უნდა ურთიერთობდეს უშუალოდ „ჭეშმარიტ“ მუსლიმებთან და განერი-

მიმართულება ისლამში). კონცეფცია გავრცელდა ისეთი ღვთისმეტყველების ნაშრომებში, როგორიცაა აბდ არ-რაჰმან იბნ აბდ ალ-ხალიკი (1978), მუჰამად საიდ ალ-კაჰატანი (1981) და უფრო ხისტი ფორმით საუდიელი სამართალმცოდნის, სალიჰ ალ-ფავზანის (1997), რომელსაც სამეფოში ეკავა უმაღლესი სასამართლოს ხელმძღვანელის თანამდებობა. [Islam Question & Ansver]

დოს სხვებს; „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ ბრძოლა ნიშნავს რჯულგანდგომილებას; ყველა შიიტი მუსლიმი - განდეგილია და იმსახურებს სიკვდილს; „ძმები-მუსლიმები“ და „ჰამასი“ ისლამის მოღალატეები არიან.

ჯგუფის დამოკიდებულება ჯიჰადის დოქტრინის მიმართ ასევე ატარებს მკაფიო სალაფიურ კვალს. „დაიში“ უჭერს მხარს „თავდაცვით ჯიჰადს“ (Defensive Jihad).

როგორც ამბობდა „დაიშის“ ერთ-ერთი ლიდერი აბუ უმარ ალ-ბაღდადი (Abu Umar al-Baghdadi), „მუსლიმთა მიწების მმართველები – მოღალატეები, ურწმუნოები, ცოდვილები, მატყუარები და დამნაშავეები არიან“. მან განაცხადა 2007 წელს: „ჩვენ ვთვლით, რომ მათ წინააღმდეგ ბრძოლა უფრო აუცილებელია, ვიდრე ჯვაროსან-ოკუპანტების წინააღმდეგ“.

არსებობს ასევე „შეტევითი ჯიჰადის“ (Offensive Jihad) ფორმა, რომელიც ვაჰაბიტურ ტრადიციებში დაფუძნებულია კერპთაყვანისმცემლობის ამოძირკვაზე. მაგალითად, აბუ უმარ ალ-ბაღდადი ჯიჰადის მიზანთან დაკავშირებით ციტირებდა ვაჰაბიტ მეცნიერს: „ურწმუნოებთან ბრძოლის მიზანი ის არის, რომ მსოფლიოში არ უნდა დარჩეს არცერთი კერპთაყვანისმცემელი“. სხვა სიტყვაში, ბაღდადი პირდაპირ ხაზს უსვამს „შეტევითი ჯიჰადის“ მნიშვნელობას, რომელიც მან დაახასიათა როგორც „დევნა ურწმუნოების წინააღმდეგ, მათზე თავდასხმის გზით, მათ მშობლიურ ტერიტორიაზე“ [Bunzel, C. გვ. 12].

„შეტევითი ჯიჰადი“ ძირითადად შიიტების წინააღმდეგაა მიმართული. ტერორისტების წარმოდგენაში, შიიტებს ექსპანსიონისტური გეგმები აქვთ ახლო აღმოსავლეთზე, რომ „შიიტური ნახევარმთვარე“ პროექტია, გადაჭიმული თეირანიდან ბეირუთამდე. ირანი, „ჰიზბალაჰი“ ლიბანში და თავის დროზე ბაშარ ალ-ასადის რეჟიმი სირიაში, სწორედ ესენი არიან ამ ნახევარმთვარის ნაწილები.

ირანის ლიდერები ცდილობენ გადააქციონ „ერაყი შიიტურ სახელმწიფოდ“, ხოლო აშშ მონაწილეობს მათ გეგმებში – თვლიან „დაიშელები“. მათი აზრით, ამჟამინდელი ერაყის ისტორიული გადასვლა სუნიტურიდან შიიტურზე მტკიცებულებაა მცოცავი „შიიტიზაციის“. როგორც ამტკიცებდა აბუ უმარ ალ-ბაღდადი, ბოლო 50–70 წლის განმავლობაში დაიწყო სუნიტების შიიტებად მოქცევა. აქამდე ერაყი იყო სუნიტური ქვეყანა.

უფრო ცნობილი ჯიჰადისტი მეცნიერები, მიუხედავად თავისი სალაფიური სიმკაცრისა, ემხრობოდნენ „ალ-კაიდას“, „ისლამურ სახელმწიფოსთან“ მისი მზარდი დაპირისპირების დროს [Bunzel, C. გვ. 13].

პროალკაიდელი მეცნიერი ჯიჰადისტები ასევე არ ეთანხმებოდნენ „დაიშის“ ზედმეტ ძალადობას, რომელიც მოიცავდა საშინელ დემონსტრაციულ თავის მოკვეთებს ან მუსლიმების უმრავლესობის ურწმუნოებად გამოცხადებას. მიუხედავად ამისა, „დაიშს“ ჰყავდა საკუთარი ავტორიტეტული მეცნიერები, რომლებიც ძირითადად ახალგაზრდა თაობას წარმოადგენდნენ.

ყველაზე გამოჩენილი ამ მეცნიერებიდან იყო ბაჰრეინელი თურქი ალ-ბინალი (Turki Mubarak Abdullah Ahmad al-Binali; 1984–2017 წწ.), ასევე ცნობილი, როგორც თურქი ბინ მუბარაქ ბინ აბდულაჰი (Turki bin Mubarak bin Abdullah), იგივე აბუ დირღამი (Abu Dergham) და აბუ ჰუმამ ბაქრ ბინ აბდ ალ-აზიზ ალ-ასარი (Abu Humam Bakr Bin Abdul Aziz al Athari). ის იყო აბუ მუჰამად ალ-მაკდისის ყო-

ფილი მოსწავლე, რომელიც გაგდებულ იქნა არაბთა გაერთიანებული საამიროებიდან მისი სალაფიურ/თაქფრიული ქადაგებების გამო, იყო რა „დაიშის“ მოქმედი „მეცნიერი“ [Barret, R. გვ. 35]. 2014 წელს თავის ყოფილ დამრიგებელთან კამათის შემდეგ, „დაიშსა“ და „ალ-კაიდას“ მტრობასთან დაკავშირებით, ბინალიმ უარყო თავისი მასწავლებლის მიდგომები, მაკდისის უარი „ისლამურ სახელმწიფოზე“ შეადარა XVIII საუკუნის ცნობილი იემენელი მეცნიერის უარს, ადრეული ვაჰაბიზმის მოძრაობაზე არაბეთში. ეს იემენელი თავდაპირველად მიესალმა ახალგაზრდა ვაჰაბიელთა სახელმწიფოს, როგორც მაკდისი მიესალმა „ისლამურ სახელმწიფოს“, მაგრამ შემდეგ დაგმო ის ზედმეტ ძალადობასა და თაქფირის გამო. მაკდისიმაც იგივე მიზეზით დაგმო „ისლამური სახელმწიფო“. ბინალის თვალსაზრისით, „დაიში“, ადრეული ვაჰაბიტური სახელმწიფოს მსგავსად, სალაფიურ-ვაჰაბიური მემკვიდრეობის ჭეშმარიტი მცველია. ამ როლში დარწმუნებული, ის არასდროს იტყვის უარს ამ მისიაზე [Bunzel, C. გვ. 13].

ISIS-ი წარსულში დაკავშირებული იყო „ალ-კაიდასთან“, მაგრამ შემდგომ მათი იდეოლოგიური გზები გაიყო, რაც საშუალებას იძლევა ნათელი მოჰფინოს „დაიშის“ სექტანტური იდეოლოგიის ევოლუციას. „ალ-კაიდასა“ და „დაიშს“ შორის განსხვავებების გასაგებად, თვალი უნდა მივადევნოთ ბინ ლადენისა და აზ-ზარკავის პირველ კონტაქტებს. უკვე XX ს-ის 80-იან წლებში, როცა ორივე ავღანეთში იმყოფებოდა, მათ შორის არსებობდა განსხვავებები (როგორც ახლა მათ მემკვიდრეებს შორის) ძალადობის სისასტიკის საკითხებში, მათ შორის შიიტების მიმართ.

ISIS-ის თვალსაზრისით, ისლამისთვის უფრო საშიშია შიდა მტრები. ამიტომ უაზრობაა მიაპყრო ყურადღება შორეულ მტრულ ძალებს (დასავლეთს) და იგნორირება გაუკეთო ადგილობრივ მტრებს, განსაკუთრებით შიიტებს. მათი სტრატეგიის თანახმად, შორეული მტერი ისედაც ჩათრეული იქნება რეგიონალურ კონფლიქტში, როგორც ეს სურდა ბინ ლადენს, მაგრამ მხოლოდ ახლო მტერზე თავდასხმით.

ასეთმა სცენარმა იმუშავა მას შემდეგ რაც ISIS-ის ბოევიკებმა 2014 წ. ივნისში დაიკავეს მოსული ერაყის ჩრდილოეთით 60-ზე მეტი ქვეყანა შევიდა ბრძოლაში ამ დაჯგუფებასთან.

ერაყის ომმა მისცა საშუალება აზ-ზარკავის გაევრცელებინა თავისი სექტანტური იდეები. აქამდე ერაყის საზოგადოება იყო საკმაოდ მყარი რელიგიური მტრობის გამოვლენების მიმართ, მათ შორის იმის გამო, რომ ქვეყანაში ქორწინებები ხდებოდა სხვადასხვა კონფესიურ ჯგუფს შორის.

მაგრამ აზ-ზარკავის მიმდევრებმა მაინც მოახერხეს გაეღვივებინათ სამოქალაქო ომი მას შემდეგ, რაც თვითმკვლელმა ტერორისტებმა რამდენიმე აფეთქება მოაწყვეს „ალ-ასქარის“, იგივე ოქროს მეჩეთში (ერაყის მთავარი შიიტური ტაძარი) სამარაში 2006 და 2007 წლებში, რის შედეგადაც სერიოზულად დაზიანდა მეჩეთი, ხოლო სუნიტებსა და შიიტებს შორის მოხდა სისხლიანი დაპირისპირების პროვოცირება.

ექსტრემისტულმა იდეებმა, რომლებმაც ერაყში „ალ-კაიდასთან“ ერთად შეაღწია 2003 წელს, გამყარება პოვა ქვეყანაში მას შემდეგ რაც, აზ-ზარკავის ჯიჰადისტური დაჯგუფება იქცა ადგილობრივ მოძ-

რაობად, ჯერ აბუ უმარ ალ-ბაღდადის ხელმძღვანელობით, რომელიც მართავდა ISI-ს 2006–2010 წლებში და მისი მემკვიდრის, აბუ ბაქრ ალ-ბაღდადის ლიდერობით, რომლიც მართავდა ორგანიზაციას მის მკვლელობამდე 2019 წელს.

„ალ-კაიდას“ თვალსაზრისით შიიტების წინააღმდეგ ძალისხმევის კონცენტრაცია, დასავლეთის წინააღმდეგ ბრძოლისგან ყურადღებას გადატანაა. „ალ-კაიდას“ ლიდერებმა დაგმეს „დაიშის“ თავდასხმები მშვიდობიან შიიტ მოსახლეობაზე. არსებული მონაცემებით, ბინ ლადენიც კი თავის დროზე გამოდიოდა შიიტებსა და სუნიტებს შორის ალიანსისთვის, რაც საშუალებას მისცემდა დასავლეთის წინააღმდეგ ძალისხმევის გაძლიერებას [Hassan, H. გვ. 16].

აზ-ზარკავი თავის წერილში, რომელიც აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა გამოაქვეყნა, უსამა ბინ ლადინს მოუწოდებს მიმართოს ძალისხმევა შიიტებისკენ: „თუ თქვენ დაგვეთანხმებით (შიიტების დევნასთან დაკავშირებით), ჩვენ გავხდებით თქვენი ერთგული ჯარისკაცები ... თუ თქვენ სხვა აზრის ხართ ამ საკითხში, ჩვენ მაინც თქვენი ძმები ვიქნებით და უთანხმოება არ დაარღვევს ჩვენ ძმობას“ [Combating Terrorism Center at West Point.].

„დაიშის“ ხელმძღვანელობა კი აკრიტიკებდა „ალ-კაიდას“ ზედმეტად რბილი დამოკიდებულების გამო შიიტების მიმართ. 2014 წლის მაისში „დაიშის“ წარმომადგენელმა აბუ მუჰამად ალ-ადნანიმ (Abu Mohammed al-Adnani al-Shami იგივე Taha Subhi Falaha 1977-2016 წწ.) განაცხადა, რომ „ალ-კაიდა“ შეგნებულად არიდებს თავს ირანთან და შიიტებთან კონფრონტაციას.

2005 წლის ივლისში, „ალ-კაიდას“ ლიდერმა აიმან აზ-ზავაჰირიმ, განმარტა პოზიცია შიიტურ საკითხზე წერილში, რომელიც 2015 წელს გამოქვეყნდა. მან მოიყვანა რელიგიური და პრაქტიკული მიზეზები, რომელიც უხსნიდა „ისლამურ სახელმწიფოს“ თუ რატომ უნდა შეიკავონ თავი შიიტებზე თავდასხმებისგან. იბნ თაიმიას სიტყვებზე დაყრდნობით, მან დაწერა: „ასეთი აქტები გამოწვევს შიიტური თემის მოსახლეობის, ქალებისა და ბავშვების დასახიჩრებას და სიკვდილს, რომლებიც არიან დაცვის ქვეშ, ვინაიდან მათ ეპატიებათ უვიცობა უცოდინრობის გამო (ჭეშმარიტი რელიგიური სწავლების), ეს არის სუნიტების პოზიცია შიიტური თემთან და შიიზმის უმეცარ მიმდევრებთან მიმართებაში“ [Kamil, M.].

2014 წლის თებერვალში „ალ-კაიდა“ ოფიციალურად გაემიჯნა „დაიშს“. ამასთან ერთად ჯიჰადის იდეოლოგების უმეტესობა აკრიტიკებდა IS-ის ძალადობას და სექტანტობას. აზ-ზარკავის დამრიგებელი ალ-მაკდისიც კი აკრიტიკებდა, როგორც ვთქვით, „დაიშის“ ქმედებებს, და „ნორმიდან გადახვევას“ უწოდებდა, გმობდა საჯარო სიკვდილით დასჯას.

„ალ-კაიდას“ და „დაიშს“ შორის იდეოლოგიური განსხვავებები გამოვლინდა ასევე საერო და სასულიერო ლიდერებისადმი მიდგომებში. თუ მაგალითად „ალ-კაიდასთან“ დაკავშირებული დაჯგუფებები მოთმინებით უდგებიან ისლამის სასულიერო პირებს და ხშირად კონტაქტობენ მათთან, „დაიში“ პასუხისმგებლობას აკისრებს მათ ტირანიასა და უკანონობაზე, რომელიც დომინირებს მუსლიმურ სამყაროში.

ISIS-ი თვლის, რომ მართლმორწმუნე მუსლიმების განსაზღვრისათვის, საჭიროა „თაბაიუნს“ (გამოძიების პროცესი) მიმართონ. როგორც ამბობდა „ალ-კაიდასთან“ დაახლოებული „ან-ნუსრას ფრონტის“[37] სულიერი ლიდერი, იორდანიელი სამი ალ-ადირი (Sami al-Aridi) ISIS-ს შეუძლია ურწმუნოდ გამოაცხადოს მუსლიმი, ინტუიციური ეჭვების საფუძველზე, გაურკვეველი გადაწყვეტილებებით [Hassan, H. გვ. 17].

„დაიში“ თვლის, რომ უბრალო მუსლიმები იღებენ რელიგიურ ცოდნას სასულიერო პირებისგან, რომლებიც თანამშრომლებენ იმ კორუმპირებულ მმართველებთან, რომლებიც მხარს უჭერენ დასავლეთის ჰეგემონიას, შესაბამისად „დაიში“ ასეთი გაბატონებული მიმართულების მომხრეების და კორუმპირებული მმართველების წინააღმდეგ ბრძოლას ისლამში უფრო მნიშვნელოვნად მიიჩნევს, ვიდრე ბრძოლას დასავლეთის წინააღმდეგ.

ზოგიერთი ღვთისმეტყველი მიიჩნევს, რომ არსებობს სხვადასხვა ხარისხის ურწმუნოება, ცოდვილი სულაც არ ხდება ურწმუნო, თუ გარკვეული ქმედება შეასრულა, მაგრამ ISIS-ი მთლიანად უარყოფს ცოდვის ყოველგვარ გრადაციას და გამომდინარეობს იქიდან, რომ ყველა ურწმუნოს ქმედება თანაბრად მძიმეა. მათთვის ყველა მუსლიმი ვალდებულია გამოავლინოს რჯულგანდგომილები და გამოაცხადონ მათი განდგომილება. IS-ის იდეოლოგებს მიაჩნიათ, რომ თუ მუსლიმი არ გამოაცხადებს იმ ადამიანს ურწმუნოდ, ვინც ამას იმსახურებს, ის თავად უნდა გამოცხადდეს რჯულგანდგომილად.

„დაიშმა“ „ალ-კაიდას“ ლიდერი აზ-ზავაჰირიც კი გამოაცხადა ურწმუნოდ, მას შემდეგ, რაც მან გამოხატა თანაგრძნობა საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებულ „იხვანების“ წარმომადგენელ მუჰამად მურსის მიმართ, რომელიც ჩამოაგდეს 2013 წელს. IS-ი „ან-ნუსრას ფრონტის“ წევრებსაც განდგომილებად მიიჩნევდა, რადგან ისინი იბრძოდნენ უცხოეთის მიერ მხარდაჭერილ ფრაქციებთან ერთად.

მსგავსი შეხედულებები განსაკუთრებით პოპულარულია „დაიშის“ ერთ-ერთი მოძრაობის მიმდევრებს შორის, რომელიც ცნობილია როგორც „ჰაზმია“ (Hazmiyya).[38] ყველა თუ არა, „ისლამური სახელმწიფოს“ ზოგიერთი წევრი მაინც თვლის,

[37] **ჯაბჰათ ან-ნუსრა** ან **ჯაბჰათ ან-ნუსრა ლი-აჰლ აშ-შამ** (სირიის/ლევანტის ხალხის მხარდაჭერის ფრონტი; არაბ.: **جبهة النصرة لأهل الشام**; ინგლ.: Jabhat Al-Nusra/Al-Nusra Front) სალაფიტურ-ჯიჰადისტური დაჯგუფება, „ალ-კაიდას“ ფილიალი სირიისა და ლიბანის ტერიტორიაზე. დაარსდა სხვადასხვა მონაცემებით 2012 წ. 23 იანვარს. 2016 წლიდან ცნობილია სახელწოდებით **ჯაბჰათ ფათჰ აშ-შამ** (სირიის დაპყრობის ფრონტი; არაბ.: **جبهة فتح الشام**; ინგლ.: Jabhat Fatah al-Sham), ასევე როგორც „ალ-კაიდა სირიაში“ (Al-Qaeda in Syria) ან „ალ-კაიდა ლევანტში“ (Al-Qaeda in the Levant). სირიის ომის დროს ეს დაჯგუფება ჩამოყალიბდა როგორც ერთ-ერთი უმსხვილესი და მძლავრი, სხვა დაჯგუფებებთან შედარებით. ორგანიზაცია შექმნა საველე მეთაურმა, ამჟამად კი სირიის პრეზიდენტმა **აჰმად ჰუსაინ აშ-შარამ** (არაბ.: **أحمد حسي الشرع**; ინგლ. : Ahmed Hussein al-Sharaa), მაშინ ცნობილი სახელით **აბუ მუჰამად ალ-ჯულანი** (არაბ.: **أبو محمد الجولاني**; ინგლ.: Abu Mohammad Al-Julani/al-Golani/al-Jawlani).

[38] **უმარ ბინ აჰმად ალ-ჰაზიმი** (Omar bin Ahmed al-Hazimi), უფრო **აჰმად იბნ უმარ ალ-ჰაზიმი** (Ahmad ibn Umar al-Hazimi) – საუდიელი სალაფიელი ღვთისმეტყველი, რომლის თაქფირის ინტერპრეტაციამ დაბადა ვაჰაბიზმის განშტოება „ჰაზიმი“ (არაბ.: **حازمي**), „ჰაზიმიური მოძრაობა“ (Hazimi movement). იგი იყო შედარებით უცნობი ფიგურა, სანამ არ გამოაქვეყნა თუნისში 2011 წ. რევოლუციის შემდეგ თავისი სწავლებანი. ალ-ჰაზიმის შეხედულებების მიმდევრები მნიშვნელოვან ხელისუფლებას ფლობდნენ მცირე ხნით ISIS-ში. შემდგომ იგი დააკავა და ციხეში ჩასვა საუდის არაბეთის ხელისუფლებამ 2015 წელს.

რომ „ჰაზმიას“ დოქტრინა მათ საშუალებას აძლევს მოკლან და გაძარცვონ მუსლიმები, რომლებმაც ჩაიდინეს „ურწმუნო აქტი“ და ასეთი ბრალდება შეიძლება მუსლიმების უმრავლესობას წაუყენო [Hassan, H. გვ. 18-19].

„ჰაზმიას“ მომხრეებმა არასწორად განმარტეს საუდელი ღვთისმეტყველის, უმარ ბინ აჰმად ალ-ჰაზიმის (Omar bin Ahmed al-Hazimi) „ფათვა“ „ასსაჰვას“ თაობიდან, რომელმაც გააერთიანა ისლამისტური იდეები სალაფიურ ცნებებთან.

ფათვა, რომელიც მოგვიანებით უარყო ალ-ჰაზიმიმ, „უვიცობის ან უცოდინარობის გამო გამართლებას“ კრძალავდა რელიგიური რწმენის საკითხებში და ვარაუდობდა, რომ მუსლიმი პასუხისმგებელია „ურწმუნოების აქტზე“, თუნდაც ეს გაუცნობიერებლად გაეკეთებინოს. ერთ-ერთ ინტერვიუში შეიხ ჰასან ალ-დაღიმმა (Sheikh Hassan al-Dagheem), ცნობილმა სირიელმა ღვთისმეტყველმა, თქვა, რომ „ჰაზიმია“ არ მიიჩნევს უცოდინარობას გამართლებად.

ჰაზიმიელები თვლიან, რომ ისინი ვინც უპირობოდ არ გააძევებენ ურწმუნოს, თვითონ არიან ურწმუნოები, რაც ოპონენტების აზრით უსასრულო თაქფირიზმის ჯაჭვს იწვევს. ეს იდეოლოგია ამერიკელი მკვლევრის აარონ ზეილინის (Aaron Zelin) აზრით, „დაიშისთვის დამანგრეველია“, ანუ უფრო რადიკალურია, ვიდრე თვით „დაიში“. მისმა გავრცელებამ „დაიშის“ შიგნით გამოიწვია ხანგრძლივი შიდა იდეოლოგიური კონფლიქტი. საბოლოოდ მოძრაობა თვითონ „დაიშის“ მიერ ექსტრემისტულად გამოცხადდა და დაიწყო მათი მიმდევრების რეპრესიები [Zelin, A.Y.].

2014 წლის დეკემბერში IS-მა გამოაქვეყნა თავისი ოთხი წევრის სიკვდილით დასჯის კადრები, რომლებიც ეჭვმიტანილნი იყვნენ ექსტრემიზმში. ისინი გეგმავდნენ აჯანყებას იმ ჯგუფის წინააღმდეგ, რომელიც მათი აზრით, ვერ უმკლავდებოდა შარიათის კანონის დანერგვას, როგორც ამას ითხოვდა „ისლამური სახელმწიფოს“ დოქტრინა.

8. „ისლამური სახელმწიფოს“ ჯიჰადისტი „მეცნიერები“

„დაიში“ ეყრდნობა ჯიჰადის იმ იდეოლოგთა ნაშრომებს, რომლებიც იზიარებენ მის პოზიციას ე. წ. ნომინალურ მუსლიმებთან წინააღმდეგ ბრძოლაში. ეს „სასულიერო პირები“ ისეთ შეხედულებებს ემხრობიან, რომლებიც განსხვავდება ტრადიციულისაგან და ღიად აცხადებენ ამის შესახებ. დაჯგუფება, როგორც წესი, იყენებს მათ ნაშრომებს საუდის არაბეთისა და ახლო აღმოსავლეთის მუსლიმი ქვეყნების მმართველების ურწმუნოებაში ბრალდებების დასამტკიცებლად, აგრეთვე ამ ქვეყნების ყველა სამთავრობო ინსტიტუტისა და შეიარაღებული ძალების მიუღებლობის დასასაბუთებლად. მიმომხილველები ხშირად ვერ აფასებენ ამ იდეოლოგების გავლენას „ისლამურ სახელმწიფოზე“.

წყაროები ასახელებს საუდის არაბეთის ისეთ ე. წ. ღვთისმეტყველებს, როგორიცაა ხალიდ არ-რაშიდი (Khalid al-Rashed), ნასირ ალ-ფაჰდი (Naris al-Fahd), სულაიმან ბინ ნასირ ალ-ალვანი (Sulaiman bin Nasser al-Alwan), უმარ ბინ აჰმად ალ-ჰაზიმი (Omar bin Ahmed al-Hazimi), ალი იბნ ხიდრ ალ-ხუდაირი (Ali bin Khidr al-Khudayr) და ჰამუდ ბინ უკლა აშ-შუაიბი (Hamud bin Uqla al-Shuaibi).

ზოგიერთს ამ სიაში შეჰყავს ჩვენთვის ნაცნობი „ალ-კაიდას“ იდეოლოგი აბუ მუჰამად ალ-მაკდისი (Abu Muhammad al-Maqdisi) და აბდ ალ-კადირ ბინ აბდ ალ-აზიზი (Abdul Qadir bin Abdul Aziz). ოთხი მათგანი, ალ-ფადჰი, ალ-ალვანი, ალ-ხუდაირ და აშ-შუაიბი იყვნენ იმ ქსელის ნაწილი, რომლებიც დიდი გავლენას ახდენდნენ „ალ-კაიდაზე“ საუდის არაბეთში 2000-იან წლებში, ასევე ტრანსნაციონალურ ჯიჰადისტურ მოძრაობაზე [Hassan, H. გვ. 19]. ისინი ბევრს წერდნენ საუდის არაბეთის რჯულგანდგომილებაზე, აკრიტიკებდნენ მათ ლიდერებს აშშ-სთან თანამშრომლობის გამო. ეს პუბლიკაციები „დაიშის“ ლიდერებისთვის გახდა საღვთისმეტყველო დასაბუთებად რჯულგანდგომლების წინააღმდეგ.

რელიგიური ლიდერები, რომლებსაც „ისლამური სახელმწიფო“ ასახელებს თავის ქადაგებებში, უკიდურესად რადიკალურად განწყობილნი არიან შიიტურ საკითხთან დაკავშირებით და თვლიან, რომ რიგით შიიტებსაც კი არ უნდა ჰქონდეთ პატიების იმედი. ქადაგებების სერიაში, სახელწოდებით „ბასრი ხმალი, რომელიც სჯის ცოდვილ შიიტებს“, არ-რაშიდი არა მხოლოდ თავს ესხმის შიიტებს, არამედ შეურაცხყოფას აყენებს მათ. ალ-ფაჰდის აქვს ტრაქტატი „რაფიდიების წინააღმდეგ გადაჭარბებული ქმედებების დაშვების შესახებ“, რომელიც სავსეა შეურაცხმყოფელი და დამამცირებელი გამონათქვამებით[39].

დავუბრუნდეთ ალ-მაკდისის, რომელმაც შესაძლოა ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა „ისლამურ სახელმწიფოზე“. მისი იდეოლოგიური მნიშვნელობა „დაიშისთვის“ ხშირად სათანადოდ არ არის შეფასებული. იგი გამოდიოდა დაჯგუფების ექსპანსიის წინააღმდეგ სირიაში და გმობდა მის მიდგომას სხვა ჯიჰადისტების მიმართ. ალ-მაკდისიმ, რომელიც გაიზარდა ქუვეითში და მიიღო განათლება ერაყში და საუდის არაბეთში XX-ის 80-იან წლებში, პირდაპირი გავლენა მოახდინა „დაიშის“ დამაარსებელ აზ-ზარკავიზე. აღსანიშნავია, რომ ისინი ერთად იხდიდნენ სასჯელს იორდანიაში XX ს 1993–1999 წლებში. ალ-მაკდისიმ დიდი წვლილი შეიტანა ISIS-ის იდეოლოგიაში და ასე აღწერა მისი მნიშვნელობა ამ დაჯგუფებისთვის: „მე ვარ მათი შეიხი, რომელმაც განუმარტა მათ ერთღმერთიანობის კონცეფცია“. „დაიში“ არ ეწეოდა ალ-მაკდისის წიგნების პოპულარიზაციას, თუმცა მისი იდეები ფართოდ ვრცელდებოდა, როგორც არგუმენტები ოპონენტებთან კამათში, ხოლო მისი ნაშრომები ვრცელდებოდა „დაიშის“ მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე.

„დაიშის“ Al-Hayat Media Center-ის ცნობილ ჟურნალ „დაბიკის“[40] პირველ ნომერში, რომელიც 2014-2016 წლებში გამოდიოდა, გამოქვეყნდა სტატია, რომელიც მიეძღვნა ალ-მაკდისის ნაშრომებს. აჰმად აბაზაიდი (Ahmed Abazaid), ჯიჰადისტური

[39] **რაფიდი, რაფიდიები** (არაბ. მრ.: **روافض; رافضة**; რომანიზ.: Rāfiḍah; არაბ. მხ.: **رافضي**; რომანიზ.: Rāfiḍī; ინგლ. მრ.: Rejectors, ნიშნავს „ისინი ვინც უარყოფს“) – დამამცირებელი, შეურაცხმყოფელი სიტყვა შიიტების მიმართ, რომელიც დაარქვეს მათ რადიკალმა ისლამისტებმა.

[40] **დაბიკი** (ინგლ.: Dabiq; არაბ.: **دابق**) – ინგლისურენოვანი ციფრული ჟურნალი, რომელსაც „დაიში“ იყენებდა თავისი პროპაგანდისთვის და მომხრეთა გადაბირებისთვის დასავლეთში. სახელი დაერქვა სირიის ქალაქ დაბიკის პატივსაცემად, სადაც გადმოცემის თანახმად, სამყაროს აღსასრულის დროს უნდა მოხდეს ფინალური ბრძოლა დასავლეთის ქრისტიანებსა და მუსლიმებს შორის.

დაჯგუფებების სირიელი ექსპერტი, ალ-მაკდისის ნაშრომებს უწოდებდა „თაქფირიული სიმსივნის წყაროს და იმ სიადვილეს, რომლითაც იცლება სისხლისგან მოსახლეობა“ [Hassan, H. გვ. 20].

ალ-მაკდისის წიგნს „იბრაჰიმის რელიგია“[41] განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა „დაიშისთვის“. ამ წიგნში წარმოდგენილია „ალ-ვალა ვა ალ-ბარას“ კონცეპცია, იმისათვის, რომ დაადანაშაულონ რჯულგანდგომილებაში მრავალი მუსლიმი, რომლებიც არაისლამურ წეს-ჩვეულებებს მისდევენ.

თავის მეორე წიგნში „მიჩუმათებული სკანდალები, დაკავშირებული საუდის არაბეთის რჯულგანდოგოლებასთან“ (The Unspoken Scandals on the Apostasy of the Saudi State) ალ-მაკდისიმ საუდის არაბეთი უღმერთო სახელმწიფოდ გამოაცხადა.

ავტორი იმ დასკვნამდე მიდის, რომ „ალ-ვალა ვა ალ-ბარას“ პრინციპების შეუსრულებლობა იწვევს ურწმუნოებას და საუდის არაბეთის მთავრობის ბევრ ქმედებას – მათ შორის საკრედიტო პოლიტიკას, არაისლამური ქვეყნების უცხოურ დახმარებას, გაეროში წევრობას, სამოკავშირეო ურთიერთობებს დასავლეთთან, მოწმობს რჯულგანდგომილებაზე.

მართალია, ალ-მაკდისის კრიტიკული პოზიცია უკავია „დაიშის“ მიმართ, მაგრამ ის ასევე გმობს სირიელი შეიარაღებული დაჯგუფებების თანამშრომლობას აშშ-ის კოალიციასთან.

კიდევ ერთი იდეოლოგი, რომლის გამონათქვამების ციტირება ხდება „დაიშის“ მიერ, არის აბდ ალ-კადირ ბინ აბდ ალ-აზიზი (ცნობილი როგორც საიდ იმამ აშ-შარიფი [Sayyid Imam Sharif] ან დოქტორი ფადლი [Dr. Fadl] დაბ. 1950), წარსულში ჯიჰადის მონაწილე ეგვიპტეში, რომელმაც გადახედა თავის ექსტრემისტულ შეხედულებებს ციხიდან გათავისუფლების შემდეგ და აჯანყების შედეგად ეგვიპტეში 2011 წელს. მის ყველაზე პოპულარულ და გავლენიან წიგნს ეწოდება „სრული სახელმძღვანელო კეთილშობილი ცოდნის შეძენისთვის“ (The Comprehensive Guide for Seeking Noble Knowledge).

აბუ ალი ალ-ანბარი (Abu Ali al-Anbari, 1959–2016 წწ.), „დაიშის“ საბჭოს წევრი, თავის გამოსვლებში ხშირად ციტირებდა ამ წიგნს, თუმცა ნანობდა, რომ ავტორმა უარი თქვა მასში გამოთქმულ ზოგიერთ შეხედულებაზე. ერთ-ერთ თავის აუდიოლექციაში მან მოიყვანა აბდ ალ-აზიზის სიტყვები და განმარტა, რომ მუსლიმი, რომელიც გახდა პარლამენტის წევრი, არის რჯულგანდგომილი იმ შემთხვევაშიც, თუ ის იყენებდა პარლამენტს როგოც ტრიბუნას რელიგიური იდეების გასავრცელებლად. ეს სიტყვები გაკეთდა საუდის არაბეთის ყოფილი მუფთის, აბდ ალ-აზიზ ინბ ბაზის (Abd al-Aziz Ibn Baz) მისამართით, რომელმაც განაცხადა რომ პარლამენტში წევრობა ჭეშმარიტი მუსლიმისთვის შეიძლება.

„დაიში“ იყენებს მსგავს შეხედულებებს თანამედროვე პოლიტიკურ ინსტიტუტებსა და დემოკრატიულ ნორმებზე, მუსლიმურ ქვეყნებში სამხედრო და სამართალდამცავი ორგანოების წინააღმდეგ ბრძოლის გასამართლებლად. ამ იდეების საფუძველზე ადანაშაულებენ განდგომილებაში სასულიერო პირებს, რომლებიც იცავენ ისლამის დომინანტურ ტენდენციას და მიეკუთვნებიან ოფიციალურ რელიგიურ წრეებს. ალ-ანბარმა, რომელიც სიკვდილამდე იყო ISIS-ის გავლენიანი ავტორიტეტი შეი-

[41] **იბრაჰიმის რელიგია** (არაბ.: ملة ابراهيم; ინგლ.: Millat Ibrahim) – ცნობილია, რომ წიგნის ავტორი ადანაშაულებს საუდის არაბეთის სამეფოს ხელმძღვანელობას ურწმუნოებაში, ითვლება ექსტრემისტულ ლიტერატურად.

მუშავა და წაიკითხა 40 ლექცია, რომელიც ხსნიდა ჯგუფის რელიგიურ იდეოლოგიას [Hassan, H. გვ. 21].

მისი ლექციების ლაიტმოტივი იყო მუსლიმური ქვეყნების საზოგადოებრივ- პოლიტიკური ინსტიტუტების არალეგიტიმურობა, მათ შორის მეჩეთების, და სასამართლოების. ალ-ანბარი თავს ესხმოდა შიიტებს, სუფიზმის მიმდევრებს და „ძმებ მუსლიმებს“, ასევე სალაფიზმის ოფიციალურ მიმდევრებს (ის ამ უკანასკნელთ ხშირად უწოდებს „მურჯითებს“ – ამ სიტყვას დამამცირებელი მნიშვნელობა აქვს და გამოიყენება იმ იმამების მიმართ, რომლებიც იცავენ პაციფისტურ შეხედულებებს)[42].

ერთ-ერთ ლექციაში ალ-ანბარიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ასეთი სალაფისტები „ყველაზე აბსურდულები და უაზროები“ არიან „დაიშის“ მოწინააღმდეგესა და არაკეთილმოსურნეებს შორის, რაც ასახავს სასტიკ ბრძოლას ამ ორ იდეოლოგიურ მიმართულებას შორის, ISIS-ის სირიასა და ერაყში წარმატებების შემდეგ [Hassan, H. გვ. 21].

9. დასაბუთება და გამართლება პირველყოფილი სისასტიკის, ისტორიულ-რელიგიურ მაგალითებზე

„დაიშის“ პრივილეგირებული „სასულიერო პირები“ ამართლებენ სიმხეცეს ჩვეულებრივ მუსლიმების მიმართ. მაგრამ ზოგიერთი ამას აკეთებს არა პირდაპირ, ძალადობის მოწონებით, არამედ რელიგიური და დესპოტური რეჟიმების მიმართ სიძულვილის გაღვივებით.

იგივე საუდელი ხალიდ არ-რაშიდი, ცნობილი თავისი ხისტი კომენტარებით, ერთ-ერთი ქადაგების დროს საუბრობდა ხალიდ ბინ სუფიან ალ-ჰადლისთვის (Khalid bin Sufyan al-Hadhli) თავის მოკვეთაზე VII საუკუნეში. მისი სიტყვებით, ალ-ჰადლის მუსლიმებზე თავდასხმების გამო სიკვდილი მიესაჯა. მოხალისედ, ჯალათად, გამოვიდა ვინმე აბდულაჰ ბინ ანასი (Abdullah bin Anas), რომელმაც თავი მოკვეთა ალ-ჰადლის. როცა აბდულაჰ ბინ ანასი დაბრუნდა მოკვეთილი თავით ხელში, წინასწარმეტყველმა მუჰამადმა, როგორც არრაშიდი ყვება, შეაქო და დააჯილდოვა იგი. ამ საკმაოდ საკამათო ისტორიას ციტირებდნენ „დაიშის“ წევრები.

იმისთვის, რომ გაემართლებინათ თავიანთი სისხლიანი მხეცობები, ISIS-ის იდეოლოგები იმოწმებდნენ კერძოდ, ორ წარმომადგენელს სასულიერო წრიდან – აბუ აბდალაჰ ალ-მუჰაჯირს (Abu Abdullah al-Muhajir) და აბუ ბაქრ ნაჯის (Abu Bakr Naji). თავიანთ ნაშრომებში ისინი ამართლებდნენ თავის მოკვეთის პრაქტიკას და სხვა ძალადობრივ ქმედებებს, ჩავთვალოთ რომ ისინი „დაიშის“ საკვანძო იდეოლოგები არიან.

ეგვიპტელი ალ-მუჰაჯირი ავტორია წიგნისა – „ჯიჰადის იურისპრუდენციის საკითხები“ (Questions About the Jurisprudence of Jihad), რომელსაც ISIS-ის დამაარსებელი აზ-ზარკავი ჯერ სწავლობდა და შემდეგ ასწავლიდა ჯიჰადისტებს ჰერათის სასწავლო ბანაკში (ავღანეთი) [Hassan, H. გვ. 24].

[42] **ალ-მურჯია, მურჯითები** (არაბ.: **المرجئة**; ინგლ.: Murji'as, Murji'ah ან Murji'ites – ისინი ვინც გადადებენ, აჭიანურებენ, ვადას გადაწევენ) სხვადასხვა ისლამური მსოფლმხედველობის სკოლების საერთო სახელწოდება, რომლებიც „გადადებენ“ ადამიანის მდგომარეობის შესახებ მსჯელობას ამ სამყაროში განკითხვის დღემდე. მურჯითები თვლიან, რომ ადამიანის მიერ ცოდვის ჩადენას არა აქვს კავშირი მის სარწმუნოებასთან.

„ეგვიპტური ისლამური ჯიჰადის“ (Egyptian Jihadist Islamic Group) ყოფილმა წევრმა აბუ ბაქრ ნაჯიმიმ (ნამდვილი სახელი – მუჰამად ჰასან ხალილ ალ-ჰაქიმი [Mohammad Hasan Khalil al-Hakim]) კი, დაწერა წიგნი „პირველყოფილი სისასტიკის მართვა“ (The Management of Savagery), რომელიც „დაიშთან“ დაკავშირებული სასულიერო პირის მოწმობით, ფართოდ ვრცელდებოდა ადგილობრივ საველე მეთაურებსა და დაჯგუფების წევრებს შორის.[43]

მთავარი საკითხი, რომელსაც წიგნი სვამს, არის როგორ გამოვყოთ ჯიჰადი სხვა სარწმუნოების საკითხებისაგან. ავტორის აზრით, ჯიჰადის საფუძვლები ცუდად გადაეცემა და ახალგაზრდებს უჭირთ მისი ჭეშმარიტი მნიშვნელობის გაგება. ნაჯი აღნიშნავს: „ისინის ვინც სინამდვილეში მართლა მონაწილეობდა ჯიჰადში, იციან, რომ ეს სხვა არაფერია თუ, არა სიმხეცე, გულცივობა, ტერორიზმი, დაშინება და ტანჯვის მიყენება. მე ვსაუბრობ ჯიჰადსა და საბრძოლო მოქმედებებზე და არა ისლამზე, ამიტომ ნუ ურევთ ამ ორ ცნებას. ბრძოლა არ შეიძლება გაგრძელდეს და გავიდეს ახალ დონეზე, სანამ მტერს არ მიაყენებ ტანჯვას და არ არის დაშინებული“.

გასაკვირი არაა, რომ ეს იდეოლოგიები მნიშვნელოვანი იყო „დაიშისთვის“, ვინაიდან მათ დიდი გავლენა მოახდინეს თვით აზ-ზარკავიზე. ალ-მუჰაჯირი და ნაჯი უწოდებდნენ თავის მოკვეთას სასჯელს, რომელსაც არა მარტო რელიგია უშვებს, არამედ აწესებს ალაჰი და მისი წინასწარმეტყველი. ორივე ამტკიცებდა, რომ ურწმუნოების სისხლისღვრა „აბსოლუტურად დასაშვებია“, ხოლო ურწმუნოთა დახმარება, რომლებიც მუსლიმების წინააღმდეგ მოქმედებენ, ურწმუნოების აღმაშფოთებელი აქტია, რომელიც უპირობოდ აქცევს ადამიანს რჯულგანდგომილად [Hassan, H. გვ. 24].

ახალი წევრების იდეოლოგიური დამუშავებისას, როგორც წესი, „დაიში“ თავს არიდებს იმ სწავლებებს და დოქტრინებს, რომლებიც აგებულია მხოლოდ შარიათზე. ყველაზე „გამოსული“ დაჯგუფების წვერები და სამეთაურო შემადგენლობა სწავლობს ისეთ მასალებს, როგორიც ზემოხსენებული აბუ ბაქრს ნაჯის წიგნია.

ახალი წევრების მომზადებისას „დაიში“ აჩვენებდა მათ, რომ ჭეშმარიტი ისლამის პრინციპებს და მდგომარეობებს მიჰყვებოდა და არა რაიმე დოქტრინების და სწავლებების ნაკრებს. ISIS-ის იდეოლოგები მიმართავდნენ სიუჟეტებს ადრეული ისლამის ისტორიიდან (ყველაზე ხშირად ეს ეხება ე. წ. ომებს რჯულგანდგომილებთან, რომლებიც დაიწყო მოციქულ მუჰამადის გარდაცვალების შემდეგ, რათა გაამართლონ და აუხსნან ახალ წევრებს იმ ზომების აუცილებლობაზე, როგორიცაა თავის მოკვეთა, ჯვარზე გაკვრა, ხოცვა-ჟლეტა და სხვა სისასტიკე) [Hassan, H. გვ. 25].

მაგალითად, აბუ ასაად ას-სამაანს (Abu Asaad al-Samaan), ISIS-ის რელიგიურ ლიდერს, ტერორის ისეთი ელემენტის ლეგიტიმაციის მიზნით, როგორიცაა თავის მოკვეთა, მოჰყავს ერთი ქალის, საფია ბინთ აბდ ალ-მუტალიბის (Safiyya bint Abdulmutalib) ისტორია, რომელიც ცხოვრობდა წინასწარმეტყველ მუჰამადის დროს. ალ-სამაანის ცნობით, 627 წელს თხრილთან ბრძოლის დროს მედინას

[43] როგორც უთითებს ჰასან ჰასანი, ეს ინგლისური სახელწოდება გამოიყენა უილიამ მაკანტსმა (William McCants) Brookings Institution-დან, რომელმაც თარგმნა ეს წიგნი.

მუსლიმი ქალები და მოხუცები ერთად შეკრიბეს და უსაფრთხო ადგილას გადამალეს [Encyclopedia Britannica.]. თუმცა ვიღაც მამაკაცმა, რომელსაც ამ ამბავში ებრაელს უწოდებენ, მოახერხა იქ შეღწევა და ქალებთან მიახლოება. საფიამ ერთ-ერთ უხუცესს სთხოვა, მოეკლა შემოჭრილი, მაგრამ უხუცესმა თქვა, რომ მას ბრძოლა არ შეეძლო. წინა ბრძოლაში მონაწილე საფიამ მოკლა მასთან მიახლოებული მამაკაცი, თავი მოჰკვეთა და მოკვეთილი თავი მტრის ჯარისკაცებს გადაუგდო მათ დასაშინებლად.

ISIS-ის იდეოლოგია შემთხვევით არ ემყარება ისლამის ისტორიიდან სიუჟეტებს: მათ შეუძლიათ ადამიანის ცნობიერებაზე უფრო ძლიერად, მოახდინონ გავლენა ვიდრე ციტატებს ისლამური კანონებიდან.

„დაიშის“ იდეოლოგებს მოჰყავთ ისლამის ცნობილი სამხედრო ლიდერის, ხალიდ იბნ ალ-ვალიდის (Khaled Ibn al-Walid, გარდ. 642 წ.) ისტორია, რომელმაც მოკლა ათასობით ტყვე 633 წ. ულაისის ბრძოლის შემდეგ, რაც ეწინააღმდეგება ისლამის სწავლებას. იბნ ალ-ვალიდმა ღვთის წინაშე დაიფიცა, გამარჯვების შემთხვევაში, მისი მტრების სისხლი მდინარესავით უნდა ჩამოდინებულიყო. როდესაც გაირკვა, რომ ბრძოლის ველზე ძალიან ცოტა სისხლი იყო დაღვრილი, იბნ ალ-ვალიდმა მოკლა ტყვეები და ბრძანა მდინარეზე კაშხლის განადგურება, რათა წყალი გადასულიყო სისხლიან სხეულებზე. „დაიშის“ წარმომადგენლები ამტკიცებენ, რომ პირველმა მართლმორწმუნე ხალიფა აბუ ბაქრმა (573–634 წწ.) შეაქო იბნ ალ-ვალიდი გამარჯვებისთვის, წინასწარმეტყველმა მუჰამადმა კი მას „ალაჰის ამოწვდილი მახვილი“ უწოდა [Hassan, H. გვ. 25]. როდესაც ISIS-ის მებრძოლები კლავენ პატიმრებს, მათ შეუძლიათ უბრალოდ მიმართონ ამ ისტორიულ სიუჟეტს, ანუ „ცოცხალ შარიათს“ – მოვლენებსა და გადმოცემებს და არა მხოლოდ თეოლოგიურ თეორიას.

ISIS-ის მებრძოლები უჩვეულო სასჯელებს იყენებდნენ იმისთვის, რომ შოკში ჩაეგდოთ ისინი, ვინც ესწრებოდა სასჯელს, რათა შეეხსენებინათ მათთვის, რომ მსგავსი ეპიზოდები უკვე ყოფილა ისლამის ისტორიაში, ასევე იქცეოდნენ საუდელი ექსტრემისტის ჯუჰაიმან ალ-უთაიბის (Juhayman al-Utaybi; 1936-1980 წწ.) მიმდევრები XX ს-ის 70-იან წლებში.

მაგალითად, 2014 წლის დეკემბერში „დაიშელებმა“ ქ. დაირ აზ-ზურში (სირიის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთი) ყველაზე მაღალი შენობის სახურავიდან გადმოაგდეს ჰომოსექსუალიზმში ბრალდებული 20 წლის ბიჭი და განაცხადეს, რომ „ასე იქცეოდა ხალიფა აბუ ბაქრი“ [Kirchic, J.].

„დაიშის“ ახალ წევრებთან საუბრები იძლევა საშუალებას ვივარაუდოთ, რომ ამ ჯგუფის რელიგიური იდეოლოგები იკვლევდნენ ისლამის ისტორიის ღრმა ფენებში არსებულ ნაკლებად ცნობილ სიუჟეტებს ან ჰადისებს, რათა შთაბეჭდილება მოეხდინათ ახალბედებზე და დაერწმუნებინათ ისინი, რომ არ არსებობს ჭეშმარიტი ისლამი თანამედროვე საზოგადოებაში. ორგანიზაციის ერთ-ერთი წევრი, მუთანა აბდ ას-სათარი (Muthanna Abdulsattar) ამას ასე აღწერს: „ის, რასაც „ად-დავლა ალ-ისლამიას“ (IS) სასულიერო პირები ამბობენ, შოკისმომგვრელია. ირკვევა, რომ ჩვენი რეგიონის ისლამური სა-

ISSN 1512-0996
www.shromebi.gtu.ge

ზოგადოებების უმეტესობა ასცდა ჭეშმარიტ სარწმუნოებას. ისინი მიჰყვებიან რელიგიის პრინციპებს, რომელიც შეიქმნა ოცი წლის წინ ან უფრო ადრე“.

დასკვნა

სანამ ყურადღება არ მიექცევა სალაფიური და ისლამისტური იდეების ურთიერთქმედებასა და ურთიერთგავლენას, „დაიშის“ იდეოლოგიის არასწორად გაანალიზება გაგრძელდება, გაართულებს ამ იდეოლოგიის ფუნდამენტურად ახალი ბუნების დანახვას. ისლამისტური იდეები ყველაზე კარგად ასახულია „დაიშის“ მხარდამჭერთა შორის პოპულარულ განცხადებაში, რომლის ავტორობას მიაწერენ იემენელ ჟურნალისტ აბდულილაჰ ჰაიდარ შაის (Abdulelah Haider Shaye):

„ISIS-ის პროექტი შეიმუშავა საიდ კუტბმა, გაავრცელა აბდულა აზამმა, მსოფლიო დონეზე გაიტანა უსამა ბინ ლადინმა, აბუ მუსაბ აზ-ზარკავიმ გადაიტანა რეალურ სიბრტყეში, ხოლო განახორციელა აბუ უმარ ალ-ბაღდადიმ და აბუ ბაქრ ალ-ბაღდადმა“.

საზოგადოების რელიგიათაშორისი და კონფესიათაშორისი პოლარიზაცია, შეიარაღებული დაჯგუფებების ზრდა, რომლებიც ჩამოყალიბებულია რელიგიური ან კონფესიური ხაზით ერაყში, სირიაში და ამ ქვეყნების ფარგლებს გარეთ, ისევე, როგორც ეფექტური რელიგიური და პოლიტიკური ხელმძღვანელობის ნაკლებობა ეხმარება „ისლამურ სახელმწიფოს“ გადარჩეს და კვლავ გააგრძელოს არსებობა.

ზომიერი ინსტიტუტის გავლენა შესუსტდა ახლო აღმოსავლეთის და აფრიკის არაბულ ქვეყნებში 2011 წლის მასობრივი სამოქალაქო მღელვარებების დროს. მაშინ რელიგიური ისტებლიშმენტი რეჟიმების თანამონაწილედ ითვლებოდა, რომელიც ვერ აკმაყოფილებდა რევოლუციურად განწყობილი ახალგაზრდების საჭიროებებს. „დაიშმა“ და მისმა მსგავსმა ორგანიზაციებმა სწრაფად შეავსეს მაშინდელი ვაკუუმი და ISIS-მა იმავე გზის გავლით, რაც „ალ-კაიდამ“ გაიარა, მასთან შედარებით უფრო წარმატებულად, გადააქცია თავისი ჯერ კიდევ ბუნდოვანი სწავლება ნამდვილ სკოლად [Hassan, H. გვ. 26-27].

„დაიში“ წარმადგენს ერთ-ერთ ურთულეს, დახურულ და შედარებით ეფექტურ სამხედრო-პოლიტიკურ ფენომენს მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე. ორგანიზაცია თავისი არსით ყველაზე შეურიგებელი ფუნდამენტალისტური, სალაფიურ-თაქფირიული ჯიჰადიზმის სახეა. მის საფუძველში დევს „ჟამთა აღსასრულის“ უძველესი წინასწარმეტყველებების გარდაუვალი აღსრულების რწმენა, რომლის რეალიზებაში, ტერორისტების აზრით, მიიღებენ მონაწილეობას მხოლოდ ჭეშმარიტი მუსლიმები.

მიუხედავად იმისა, რომ დაჯგუფების რესურსები, ადამიანური, ფინანსური, შეიარაღება, ტერიტორიული, ეტაპობრივად, ჯერ 2017-ში, შემდეგ კი 2019-ში თითქმის გაქრა, ორგანიზაცია კვლავ არსებობს მცირედი უჯრედების სახით და ზიანის მიყენების უნარი შენარჩუნებული აქვს, ხოლო მისი იდეოლოგიის მომხრეები მიმოფანტულები არიან მთელ მსოფლიოში.

ლიტერატურა

1. Barret, R. (2014, November). *The Islamic State*. The Soufan Group. https://ciaotest.cc.columbia.edu/wps/tsg/0032688/f_0032688_26581.pdf
2. Encyclopedia Britannica. (2021, November 11). *Battle of the Ditch*. https://www.britannica.com/event/Battle-of-the-Trench
3. Encyclopaedia Britannica. (2025, May 25). *Battle of Siffin*. https://www.britannica.com/event/Battle-of-Siffin
4. Bunzel, C. (2015, March 9). *From paper state to caliphate: The ideology of the Islamic State* (No. 19). Brookings Institution. https://www.brookings.edu/wp-content/uploads/2016/06/The-ideology-of-the-Islamic-State-1.pdf
5. Dobaev, I. (2017). Daesh: Ideology, structure, political practice, funding channels. *Southern Federal University*, 128–138. https://inion.ru/site/assets/files/4404/2017_rmm_rus_2.pdf *(In Russian)*
6. Gachechiladze, R. (2003). *The Middle East: Space, people and politics*. Diogenes Publishing House. *(In Georgian)*
7. Gelovani, N. (2024). *Sharia: History, dogmatics, law*. Tbilisi State University. *(In Georgian)*
8. Hassan, H. (2016, June 13). *The sectarianism of the Islamic State: Ideological roots and political context*. Carnegie Endowment for International Peace. https://carnegieendowment.org/2016/06/13/sectarianism-of-islamic-state-ideological-roots-and-political-context-pub-63746
9. Kamil, M. (2015, August 28). *We are publishing al-Zawahiri's most serious letter to the leader of Daesh*. Mubtada. https://www.mobtada.com/details/374654 *(In Arabic)*
10. Kirchick, J. (2015, January 19). ISIS goes medieval on gays. *The Daily Beast*. http://www.thedailybeast.com/articles/2015/01/19/isis-goes-medieval-on-gays.html
11. Islamrf.ru. (2012, May 30). *Opposition movements in Saudi Arabia*. https://www.islamrf.ru/news/culture/islam-world/22257/ *(In Russian)*
12. Sanikidze, G. (2015). *The Islamic State and the "Great Game" in the Middle East* (No. 44). Georgian Foundation for Strategic and International Studies (GFSIS). https://www.gfsis.org/files/library/opinion-papers/44-expert-opinion-geo.pdf *(In Georgian)*
13. Sheglovin, Y. (2016). *Thinking about Islamic State*. Middle East Institute. *(In Russian)*
14. Schmitt, E. (2014, December 28). In battle to defang ISIS, U.S. targets its psychology. *The New York Times*. https://www.nytimes.com/2014/12/29/us/politics/in-battle-to-defang-isis-us-targets-its-psychology-.html
15. Islam Question & Answer. (2021, February 11). *The concept of loyalty and disavowal and its importance*. https://m.islamqa.info/en/answers/337640/the-concept-of-loyalty-and-disavowal-(al-wala-wal-bara)-and-its-importance?traffic_source=main_islamqa
16. Kelly, T. K., et al. (2017). *Knowing the enemy: Understanding the Islamic State and principles for defeating it* (PE-200-A). RAND Corporation. https://www.rand.org/pubs/perspectives/PE200.html
17. Al-Jazeera Media Network. (2019, October 27). *Who was ISIL's self-proclaimed leader Abu Bakr al-Baghdadi?* https://www.aljazeera.com/news/2019/10/27/who-was-isils-self-proclaimed-leader-abu-bakr-al-baghdadi
18. Combating Terrorism Center at West Point. (2005, July 9). *Zawahiri's letter to Zarqawi*. https://ctc.westpoint.edu/wp-content/uploads/2013/10/Zawahiris-Letter-to-Zarqawi-Translation.pdf
19. Zelin, A. Y. (2020, February 18). *Ultra extremism among Tunisian Jihadis within the Islamic State*. Jihadica. https://www.jihadica.com/ultra-extremism-among-tunisian-jihadis-within-the-islamic-state/

UDC 323.325 / 297.8
SCOPUS CODE 3320
https://doi.org/10.36073/1512-0996-2025-4-326-357

The "Daesh" Ideology

Zviad Tkabladze Department of Political and International Relations, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 75, M. Kostava str.
E-mail: tkabladze.zviad@gtu.ge

Reviewers:

T. Kiknadze, Professor, Faculty of Law and International Relations, GTU
E-mail: kiknadzetamar12@gtu.ge

M. Manchkhashvili, Doctor, Assistant Professor, Faculty of Law and International Relations, GTU
E-mail: manchkhashvilimaia07@gtu.ge

Abstract. The article is devoted to analysis of international terrorist organization Daesh (Islamic State, ISIS, ISIS, ISIS) in terms of its ideological doctrines, which factors contributed to the formation of such ideology, which is the most cruel, ruthless and unlike other Islamist terrorist organizations. The interconnected Salafi-jihadist and Takfiri-jihadists worldviews of Daesh are based on the literature and works of those Islamist ideologues who do not formally join this group, but preach ideas that are contrary to Islam.

Using the ideology of Tafkirism (accusing in non-belief), Daesh justify armed struggle and genocide against those Muslims (Shiites, Sunnis etc.) who do not share their views. This is the only way to achieve this. Takfirism, along with Salafism-Jihadism, is based on the extremist and minority reading of the Holy Scriptures of Islam, which encompasses a global network of scholars, websites, media and social networks.

Although the group's resources — human, financial, armed and territory have gradually disappeared, first in 2017 and then in 2019, Daesh still exists in the form of small cells and retains the ability to cause harm, while its adherents are scattered around the world.

Keywords: "Daesh"; "Islamic State"; Ideology; Jihadism; Salafism; Takfirism; Terrorism.

განხილვის თარიღი 04.06.2025
შემოსვლის თარიღი 09.06.2025
ხელმოწერილია დასაბეჭდად 24.12.2025